სპორტიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 2 ივლისი 2003 №121 (1892) | ფასი 50 თეთრი

ის ჩავიდა!

ბექჰემი მადრიდში: აი, საგიჟეთი!



REUTERS მადრიდიდან

გუშინდელი დღვიდანია:

დახვედრა მეფური.
350 ათას ევროდ ღირებული
სამედიცინო შემოწმება.
შეხვედრა კეირუშთან.
პირველი კონტაქტი
ფლორენტინო პერესთან
და კონტრაქტი „რეალთან“.
და ეს ყველაფერი
ვიქტორიას თანხლებით.

დღეს კი პრეზენტაციაა!

REUTERS მადრიდიდან

ეს სად წავა?

პსჟ-მ იცის: მანჩესტერმა დევიდ ბექემი იმიტომ გაყიდა, რონალდინიო იყიდოს





REUTERS მადრიდიდან

ზურაბ ფოლადაშვილის ფოტო

ჯანი კარნევალი

ვიტ ჯორჯიას ჯანი გავარდა

ახალი ვაქცინა: ზურაბ ბერიძე

შაბათს ჩვენებურმა „ვიტ ჯორჯიამ“ ინტერტოტოს თასის პირველი ეტაპის საპასუხო თამაში ავსტრიულ „პაშინგს“ 2:1 კი მოუგო, მაგრამ ორი მატჩის ჯამში მაინც წაგებული დარჩა. საბოლოოდ ვეტერინარები ისეთ გუნდს დაეჩაგვრინენ, რომელიც ჩვენებურებს ვერც სიძლიერით სჯობდა და არც უკეთესი შემსრულებლები ჰყავდა.

მეთოთხმეტე ჩემპიონატში „ვიტ ჯორჯიას“ ჩინებული საჩემპიონო შანსი ჰქონდა. მართალია, კარნევალის გუნდმა ერთადერთი საშინაო თამაში წააგო, მაგრამ ვერც სხვა პრინციპულ მატჩებში ივარგა და ოქროს ვინ ჩიოდა, ვერცხლიც სანატრელი გაუხდა — ბრინჯაოლა იკმარა.

თითქმის ცნობილი იყო, ყოველივე ზემოთ თქმულს რაც მოჰყვებოდა. „ვიტ ჯორჯიაში“ ამდენი შანსის გამოუყენებლობა არც ერთი მწვრთნელისთვის არ უპატიებიათ. ჯანი კარნევალის და კლუბის ხელმძღვანელების ურთიერთპატივისცემის და გულთბილი დამოკიდებულების მიუხედავად, იტალიელი მწვრთნელის და ვეტერინარული გუნდის გზები, ფაქტობრივად, შაბათს, „პაშინგთან“ მატჩის დასრულებისთანავე გაიყარა. კარნევალი ამ დღეებში ჯერ ბათუმში ჩავა პირად საქმეებზე, საქართველოდან კი 11 ივლისს გაემგზავრება.

სინიორ ჯანი „ვიტ ჯორჯიას“ მწვრთნელი აღარ იქნება, თორემ ვეტერინარულ კლუბთან ურთიერთობებს არ გაწყვეტს. ის ვიტელთა მენეჯერად დარჩება და კლუბის წარმომადგენელი იქნება ევროპაში.

„ვიტ ჯორჯიას“ კარნევალი მეორედ დაემშვიდობა. პირველად ეს 2001 წელს მოხდა, როცა იტალიელი გუნდს თავისი ნებით დაეთხოვა. მიზეზი ნიგერიის ნაკრების მწვრთნელობის შანსი იყო, მაგრამ იმ საქმიდან რომ არაფერი გამოვიდა, ერთი ხნის შემდეგ ისევ ვეტერინარებს დაუბრუნდა.

კარნევალის თავკაცობით „ვიტ ჯორჯიამ“ ეროვნული ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლები ირგუნა. მისი მწვრთნელობისას ვიტელებმა სამჯერ ითამაშეს ინტერტოტოს თასზე და პირველ ეტაპს მხოლოდ ერთხელ გასცდნენ. შარშანწინ კარნევალიმ ავსტრიულ „რიდს“ ორი მატჩის ჯამში (1:0, 1:2) კი აჯობა, მაგრამ მერე ფრანგულ „ტრუას“ დაეჩაგვრინა (0:6, 1:1). შარშან კარნევალის გუნდმა ბელგიურ „ლოკერენს“ ვერ მოუხერხა ვერაფერი (1:3, 3:2), შაბათს კი ავსტრიული „პაშინგი“ იყო (0:1, 2:1), რომელმაც იტალიელის ვეტერინარულ კარიერას წერტილი დაუსვა.

კარნევალი წავიდა, უფრო სწორად, საქართველოდან სულ მალე წავა, „ვიტ ჯორჯიაში“ კი უკვე ახალი, რიგით მეცხრე მწვრთნელი დაინიშნა. სპარტაკ არჩვაძის, ჯემალ მახარაშვილის, სერგო კოტრიკაძის, ვლადიმერ ხაჩიძის, თემურ მახარაძის, სერგო გაბელაიას, გოჩა ტყებუჩავასა და ჯანი კარნევალის შემდეგ



ზურაბ ბერიძე

კლუბის თავკაცებმა ვეტერინარები გასაწვრთნელად ზურაბ ბერიძეს ჩააბარეს.

ბერიძეს 17 ივლისს 47 წელი უსრულდება. თავის დროზე ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდში დაიწყო საფეხბურთო კარიერა, მერე კი „დინამოს“ დუბლშემადგენლობაში, თბილის „ლოკომოტივში“ და „სპარტაკში“, ასევე პოლიტექნიკური და ზოოვეტერინარული ინსტიტუტის გუნდებშიც თამაშობდა. სპეციალობით ბერიძეც ვეტერინარად შეგვიძლია ჩავთვალოთ. „ვიტ ჯორჯიაში“ კი 17 ივლისს მუშაობის სამწლიანი სტაჟი შეუსრულდება. ზურაბ ბერიძე ჯანი კარნევალის მარჯვენა ხელი იყო, ვარჯიშებს ის ატარებდა და გუნდის ავანჩავანიც კარგად მოეხსენება. მის თანაშემწეობას თსუ-ს თავკაცი მერაბ კოჭლაშვილი გასწევს, მესამე მწვრთნელი კი ვეფხია გვენცაძე იქნება.

მამუკა კვანტალიანი

ოლეგ გველესიანი დონეცკში გააფრინეს

„ვიტ ჯორჯიას“ მარცხენა ნახევარმცველი, 22 წლის ოლეგ გველესიანი ჩვენში კარგ შუახაზელად ითვლება. მართალია, თავის დროზე ახალგაზრდული ნაკრების წევრიც იყო, მაგრამ აქამდე დიდად არ გამოირჩეოდა. მის ნიჭიერებას და საფეხბურთო მონაცემებს ყოველთვის აღნიშნავდნენ, თუმც თავის შესაძლებლობებს ბოლომდე ვერ ავლენდა. ამას თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები ჰქონდა. ჯერ იყო და ტრავმებმა გატანჯა, მერე ძმა დაეღუპა და ფსიქოლოგიურად გატყდა ახალგაზრდა კაცი.

გველესიანს თავის დროზე „დინამოში“, „თბილისსა“ და „ბათუმში“ უთამაშია, უცხოეთში გასინჯვაზეც ყოფილა, მაგრამ ბოლო ორი სეზონი „ვიტ ჯორჯიაში“ გაატარა.

თუ ვეტერინარული გუნდის ხელმძღვანელებს ვერწმუნებით, მაშინ გველესიანის ნიჭმა ერთბაშად ავსტრიაში, „პაშინგთან“ მატჩისას ამოხეთქა. შვანენშტადტში ოლეგი შეუჩერებელი იყოო, ერთხმად აღნიშნავდნენ თანაგუნდელებიც.

გველესიანი ვეტერინარებში შაბათსაც ერთ-ერთი გამორჩეული იყო, ხოლო „ეროვნულის“ ტრიბუნაზე რევაზ ჩელებაძის გვერდით ერთი დონეცკელი მენეჯერიც იჯდა, ვინც იქაური „მეტალურგისთვის“ ჩვენებურ ფეხბუროელებს არჩევდა.

გველესიანმა უკრაინელს თავი მოაწონა. ის კი არა, პაშინგელმა ჰელმუტ რაიგლერმა, რომელმაც პრესკონფერენციაზე მწვრთნელ ზელჰოფერის მაგივრობა გასწია, ჩვენებურისთვის საქებარი სიტყვები არ დაიშურა, მიკვირს, ეგ ფეხბურთელი თქვენს ჩემპიონატში რად ცდებაო.

ამასობაში უკრაინელ მენეჯერს საქმეები უკვე გაეჩარხა.

გუშინწინ რევაზ ჩელებაძემ ვიტ-ჯორჯიელი უკრაინული გუნდის თავკაცებს ჩაუყვანა.

გველესიანის დონეცკის „მეტალურგში“ ტრანსფერის ამბები ორიოდ დღეში უნდა გაირკვეს, ჩვენ კი იმას შეგახსენებთ, რომ „მეტალურგი“ ის გუნდია, რომელიც გოჩა ჯამარაულის და გიორგი დემეტრაძის ძალისხმევით უკრიანულ ბრინჯაოს დაეპატრონა და უეფას თასზე ითამაშებს.

ამჟამად „მეტალურგი“ ყირიმშია შეკრებაზე. მწვრთნელი ალექსანდრ სევიდოვი გველესიანს იქ ელის და საბოლოო სიტყვასაც ის იტყვის. ამის შემდეგ დონეცკელები „ვიტ ჯორჯიასთან“ საბოლოოდ მოაგვარებენ საქმეს და გველესიანსაც კონტრაქტს შესთავაზებენ.

მამუკა კვანტალიანი



ზურაბ ფოლადაშვილის ფოტო

ოლეგ გველესიანი

(3)3:0

საქართველოს ჩემპიონმა თბილისის „დინამომ“, რომელიც მოსამზადებლად გერმანულ დაბა რუიტში იმყოფება, წუხელ მორიგი ამხანაგური მატჩი ავსტრიაში, რუიტიდან სამი საათის სავალზე „ლუსტენაუსთან“ გამართა და ისევ გოლგაუშვებლად გაიმარჯვა — 3:0. სამივე გოლი პირველ ტაიმში გავიდა. ანჩაბაძემ, დარასელიამ და წერეთელმა იყოჩაღეს.

„ლუსტენაუსთან“ შეხვედრა „დინამოს“ მწვრთნელმა ივო შუშაკმა მას შემდეგ ისურვა და დაგეგმა, რაც ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე „დინამო“ — „ტირანას“ მატჩში გამარჯვებულს კენჭისყრამ მეტოქედ ავსტრიული „გრაცერი“ არგუნა. შუშაკის თქმით, ავსტრიელებთან თამაში გუნდზე ფსიქოლოგიურად კარგად იმოქმედებს, თანაც ავსტრიულ სტილს გემოს გაუსინჯავენ.

აქვე ვთქვათ, რომ „დინამომ“ გერმანული შეკრება ერთი კვირაა რაც დაწყო, უკვე სამი მატჩი ჩაატარა, გაიტანა 33 გოლი და არ გაუშვია არც ერთი. შემდეგი თამაში ჩვენებს 5 ივლისს, ბუნდესლიგის „მეუნხენთან“ აქვთ.

ძოგა ინასარიძე

შვედეთი
XII ტური
აიქ 0:0 იორგბრო

დინამომ ავსტრიაში უკვე მოიგო



ზაზა ფოლადაშვილის ფოტო

ვიტალი დარასელია

სარბიელელები სამძიმარს
ვუცხადებთ
ლევან ჯავახიშვილს მამის
ბივი ჯავახიშვილის
გარდაცვალების გამო

ფოეს სიკვდილმა ლოკომოტივი გალიარდოზე დააფიქრა

მარკ ვივიენ ფოეს სიკვდილმა საფეხბურთო სამყარო შოკში ჩააგდო. ამ ტრაგედიამ თბილისური „ლოკომოტივის“ გეგმებზეც იმოქმედა.

შარშან რკინიგზელებმა ნიჭიერი პერუელი გამთამაშებელი რაფაელ გალიარდო შეიძინეს. უცხოტომელმა მალე აუღო ალღო ქართული ფეხბურთის ავანჩავანს და გუნდის ლიდერად იქცა, თუმც გალიარდო-„ლოკომოტივის“ ურთიერთობა ნაადრევად შეწყდა. პერუელს ჯანმრთელობა შეერყა და იძულებით მოუხდა რკინიგზელებთან განშორება. მას შემდეგ ლოკომოტიველები გალიარდოს სრულად გამოჯანმრთელების მოლოდინში იყვნენ, რადგან მას კონტრაქტით ორი სეზონი ჰქონდა საქართველოში სათამაშო.

„ლოკომოტივი“ კარს მომდგარ ჩემპიონატს საგრძნობლად სახეშეცვლილი ხვდება. გუნდი ფაქტობრივად ძირითადმა ბირთვმა დატოვა, ახლებს კი გამოცდილთა მხარდამხარ თამაში ჰაერივით ესაჭიროებათ. ამიტომაც გუნდის ახალმა თავკაცმა რევაზ არველაძემ რაფაელ გალიარდო გაიხსენა. პერუელს 2003 წლის ბოლომდე აქვს რკინიგზელებთან ხელშეკრულება გაფორმებული და, როგორც ამბობენ, ჯანმრთელობის მხრივაც აღარ აქვს პრობლემები. თუმც ფოეს ტრაგიკულმა სიკვდილმა „ლოკომოტივს“ სიფრთხილე შემატა. გუნდის მენეჯერ ლევან ყიფიანის თქმით, გალიარდოს საკითხი მაშინ გადაწყდება, როცა ეს ფეხბურთელი კიდევ ერთ საფუძვლიან გამოკვლევას ჩაიტარებს. ამის გათვალისწინებით, ჯერაც გასარკვევია, დაუბრუნდება თუ არა რაფაელ გალიარდო „ლოკომოტივს“.

გადაწყვეტილია განელი ლეგიონერის ნანა ეშუანის საქმე. ეს ფეხბურთელი წლის ბოლომდე საქართველოში ითამაშებს. ნანა ამჟამად სამშობლოშია და „ლოკომოტივს“ გერმანიაში შეუერთდება.

რაფაელ გალიარდოს „ლოკომოტივში“ დაბრუნება ეჭვმეთა სიტყვაზე ჰკიდია

რკინიგზელები 12 ივლისს მიემგზავრებიან ქართველთაგან დაჭაშნიკებულ რუიტში. როგორც იცით, იქ დღესდღეობით თბილისის „დინამო“ ემზადება.

რუიტში წასვლამდე „ლოკომოტივში“ ბევრი რამ არის გასარკვევი. რევაზ არველაძის განკარგულებაში დღესდღეობით ოცდაათამდე ფეხბურთელია, თუმც რამდენიმე მათგანს გუნდთან დაშორება მოუწევს — ამათში პირველ რიგში გიორგი ლომაია იგულისხმება. მისი მომავალი, სხვათა მსგავსად, 5 ივლისამდე გაირკვევა. ლევან ყიფიანის თქმით, ლომაიას კიევის „დინამოში“ გადასვლა რეალურია და დროის ამბავია.

— კიევში 4 ივლისს მივფრინავ, აქამდეც წავიდოდი, მაგრამ გუნდის პრეზიდენტი სურკისი მონაკოში გახლდათ საქმიანის ვიზიტით და დღეს დაბრუნდება კიევშიო — გვითხრა ლომაიამ გუშინ რომ შევეხმიანეთ.

დღეისთვის რევაზ არველაძის გუნდში ბევრი ახალი ფეხბურთელი ვარჯიშობს. „ლოკომოტივში“ ისინჯებიან მეკარეები: გრიშიკაშვილი, ჭურაძე და ხაჩირაშვილი. შესაძლოა, არველაძემ სამივე მათგანი დაიტოვოს. არ არის გამორიცხული ექსდინამოელი ირაკლი ვაშაკიძის და ბოლნისელთაგან შერისხული გიორგი ქორიძის ვარკინიგზელებაც. გუნდთან ერთად ვარჯიშობს ნაქოჯაელარი რევაზ ქემოკლიძეც. ამ ფეხბურთელების ბედი გუნდის რუიტში წასვლამდე გადაწყდება.

გერმანულ შეკრებამდე „ლოკომოტივი“ ორ საკონტროლო მატჩს ჩაატარებს შინაურ სარბიელზე. რევაზ არველაძის გუნდი ზეგ პირველლიგელ „სპარტაკს“ შეხვდება, 8 ივლისს კი უმაღლეს ლიგაში აღზევებულ „მცხეთას“ უმასპინძლებს.

საკონტროლო შეხვედრებს რკინიგზელები გერმანიაშიც გამართავენ. მეტოქეთა შერჩევას და მატჩების ორგანიზებას რკინიგზელებს რუიტელი მასპინძლები დაჰპირდნენ.

პაატა კვანტალიანი



ასლან ბალაძე



ვალერიან ჩხარტიშვილი

ბადრი ჯიბლაძის ფოტოები

ბათუმმა ასლანს მასწავლებელი მიუყვანა

გუშინ ბათუმში გუნდის კრება გაიმართა. მწვრთნელ-ფეხბურთელები კლუბის მესვეურებს შეხვდნენ. ერთსაათიანი თათბირის შემდეგ გადაწყდა, რომ „ბათუმს“ გამოცდილი მწვრთნელი ვალერიან ჩხარტიშვილი დაუბრუნდება. ჩხარტიშვილი კლუბში კონსულტანტად და მთავარ მწვრთნელ ასლან ბალაძის თანაშემწედ იმუშავებს. ეს გადაწყვეტილება „ბათუმის“ ხელმძღვანელებმა ასლან ბალაძის სურვილის შესაბამისად მიიღეს. გუშინდელ შეხვედრაზე ისიც გადაწყდა, რომ ასლან ბალაძე პარალელურად საფეხბურთო კლუბის სხვადასხვა ასაკის გუნდებსაც გაუწევს კურირებას.

ასლან ბალაძე: „ვალერიან ჩხარტიშვილი გამოცდილი, მრავალისმნახველი მწვრთნელია. მე მისი შეგირდი ვიყავი და ბედნიერი ვარ, რომ კვლავაც მის გვერდით მომიწევს საქმის კეთება. მჯერა, ჩხარტიშვილის ცოდნა და გამოცდილება დიდ სამსახურს გაუწევს „ბათუმს“, თანაც მეც გამიიოლდება მუშაობა, რადგან აწი ერთობ დატვირთული სამუშაო გრაფიკი მექნება, ჩვენს საბაზო გუნდებსაც უნდა ვუხელმძღვანელო. საქმეს არ გავექცევი, ახალგაზრდა ფეხბურთელებს ყურადღებას არ მოვაკლებ, ამით გარკვეულწილად საკადრო პრობლემებსაც მოვაგვარებთ“.

„ბათუმი“ ერთი კვირის წინ შეუდგა საახალსეზონო სამზადისს. ზღვისპირელებმა ორი საკონტროლო მატჩის გამართვა მოასწრეს. ბალაძის გუნდმა სეფერთელაძის და თედორაძის გოლებით გრიგოლეთში შეკრებაზე მყოფი „თბილისი“ 2:1 დაამარცხა. ორშაბათს „ბათუმმა“ საღორინის ბაზაზე „ტორპედოსთან“ ითამაშა. ასლან ბალაძე ძირითადად ახალგაზრდა, გამოუცდელი ფეხბურთელები [illegible] ბრძოლაში.

გუნდებმა ასე [illegible] ითამაშეს

„ტორპედო“: სტურუა (სომხიშვილი), ჭელიძე, ჭვადაკია, მახვილაძე, გაძეზარდაშვილი, თოდუა, კლინტი (ლალაძე), ახალკაცი, მუშკუდიანი, კვერნაძე (ნერგაძე), ბაბუნაშვილი

„ბათუმი“: ბალაძე, სალუქვაძე, გუშარაშვილი, ბეგრელიშვილი, შელია, [illegible], მახარაძე, თავაძე, შერვეული: [illegible], ებანოიძე

ზღვისპირელ[illegible] [illegible]ებში მორიგ ტ[illegible]ში შეცვლაზე შეკამათნენ [illegible] ცინარიძე, ქვარაია, გურეშიძე, იალ[illegible] მიდი და ფურცხვანიძე. მატჩი „ტორპედომ“ 3:0 მოიგო. გოლები ბაბუნაშვილმა (2) და კვერნაძემ გაიტანეს. შეგახსენებთ, მომავალი ჩემპიონატის პირველ ტურში ბათუმელები სწორედ ქუთაისს სტუმრობენ.

ხვალ ზღვისპირელები კვლავაც „თბილისს“ გაეჯიბრებიან, ზეგ კი გუნდის მორიგი კრება გაიმართება და უცხოური შეკრების საკითხი გადაწყდება. ბათუმელები, სავარაუდოდ, თურქეთში გაემგზავრებიან საზღვარგარეთულ შეკრებამდე ასლან ბალაძე სასელექციო საქმიანობას მორჩება. ჯერ მხოლოდ ის არის გადაწყვეტილი, რომ „ბათუმში“ ყოფილი კოლხი ვალერი გაგუა ითამაშებს.

პაატა კვანტალიანი

ჭანტურია სიმფეროპოლში გადასტა

ზურაბ იონანიძის შემდეგ ქუთაისური „ტორპედო“ კიდევ ერთმა ფეხბურთელმა დატოვა. გუშინ სიმფეროპოლში გაემგზავრა ვიცე-ჩემპიონის მეკარე გია ჭანტურია. იგი უკრაინულ „ტავრიაში“ გადასვლას ცდილობს და, ქუთაისელთა თქმით, ამ ტრანსფერის გაჩარხვას წინ ვერაფერი დაუდგება. როგორც ჩანს, „ტავრიას“ ქართველი მეკარეების ეიმედება, რაკიღა ამ გუნდის კარს ცოტა ხნის წინ ნიკა ტოგონიძე იცავდა, თუმც ეროვნული ნაკრების ყოფილმა მეკარემ ხელი იღრძო და უკრაინელებთან განშორება მოუხდა.

ჭანტურიას სიმფეროპოლში გამგზავრების შემდეგ „ტორპედოს“ პირველ მეკარედ ზვიად სტურუა იქცა. მას სათადარიგოობას ახალგადაბირებული გიორგი სომხიშვილი გაუწევს. ამ მეკარეს ერთხანს გერმანულ ობერლიგაშიც უთამაშია, ბოლოს კი გორის „დილაში“ ირიცხებოდა. „ტორპედო“ „დილაში“ გოლებით თავგამოჩენილ მუშკუდიანსაც გამოცდის. ამ ფეხბურთელს საკონტროლო მატჩებში დააკვირდებიან და ამის მერე მიიღებენ გადაწყვეტილებას.

ვიცე-ჩემპიონები ზეგ წყალტუბოს „სამგურალს“ გაეჯიბრებიან ამხანაგურად, 6 ივლისს კი ბულგარეთში გაემგზავრებიან ორი კვირით. ბულგარულ შეკრებაზე ქუთაისელებს ოთხი საკონტროლო მატჩი დაუგეგმავთ — „ტორპედო“ ორ ადგილობრივ და ორ რუმინულ გუნდს შეხვდება.

პაატა კვანტალიანი



ზურაბ დარასელიძის ფოტო

სამკურნალო გაერთიანება „ლიგა“

დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე

სექსოპათოლოგიის კლინიკა

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21

ვაქცინაციის ცენტრი

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის“ ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
  წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა“
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

მეშვიდე დრო, მესამე ქვეყანა და პირველი მეორედ

ყველაზე ხვავრიელი სეზონი შოთა არველაძეს ჰქონდა

2002-03 წლების სეზონი საფეხბურთო ისტორიამ უკვე თავის დავთარში ჩაიწერა. ახლა სტატისტიკის, ანალიზისა თუ ათასგვარი გამოთვლისა და შეჯამების დრო დადგა. ეს დროც ბევრი როდია, ამდენ თვლაში ისიც გაფრინდება და მერე ახალ წრეზე წავა საფეხბურთო გლობუსი. წინ 2003-04 წლების სეზონია, რომელიც უკვე ოფიციალურადაც კი „გახსნეს" ევროტურნირებზე მონაწილე გუნდებმა. დარჩენილთაგან ზოგი ჯერაც მცხუნვარე მზის ქვეშ ირუჯება, ზოგი მოახლოებული სეზონისთვის მზადების გაწამაწიაშია, შედარებით მცირე ნაწილს კი ეს გზა გასავლელი აქვს, ისევე როგორც რუსეთში — პრემიერლიგამ ხომ ჯერ ოდენ პირველი წრე „ჩაბარა" სტატისტიკის მოყვარულებს.

ჩვენც მეტი რა დაგვრჩენია, ავუწყოთ ფეხი ევროპას და დავთვალოთ. ამჯერად უცხოეთში მოთამაშე ქართველ ფეხბურთელთა მონაგარს გადავავლოთ თვალი.

მაშ ასე, მეტ-ნაკლებად ხეირიან უცხოურ კლუბში მოთამაშე ქართველები და მათი სეზონური შედეგები..

წლეულს ყველაზე დიდ წარმატებას, ცხადია, კახა კალაძემ მიაღწია. საქართველოს ზედიზედ სამგზის საუკეთესო ფეხბურთელმა იტალიური „მილანის" შემადგენლობაში ჩემპიონთა თასი მოიგო, თუმც ამჯერად ჩვენ საჩემპიონატო ამბებს მივაპყრობთ ყურადღებას. ამ მხრივ კი სხვათაგან რეინჯერსელი შოთა არველაძე გამოირჩა, რომელმაც შოტლანდიის ჩემპიონობა მოიპოვა. ოქროს მედლის გარდა ტყუპისცალის კოლექციას ლიგისა და ასოციაციის თასებიც შეემატა. აღსანიშნია ისიც, რომ ,ამით არველაძემ მესამე ქვეყნის საფეხბურთო მწვერვალი დაიპყრო — ადრე ის საქართველოს და ჰოლანდიის ჩემპიონი იყო, შესაბამისად, თბილისის „დინამოსა" და ამსტერდამის „აიაქსში" თამაშისას.

ალექსანდრე იაშვილი

კახა კალაძე კი „მილანის" „შესანიშნავი შვიდეულის" წევრია. სწორედ შვიდ მილანელს გაუტარებია ამ სეზონის სერია A-ში მოედანზე 2000 წუთზე მეტი. დიდას, ნესტას, მალდინის, ინძაგის, შიმიჩისა და ზეედორფის შემდეგ კალაძე მეშვიდეა 2031 წუთით.

ჩემპიონობით გოგა გახოკიძეც იწონებს თავს, თუმც შოთა არველაძესთან შედარებით მისი მიღწევა უფრო მოკრძალებული ჩანს უბრალო მიზეზის გამო — გახოკიძე ოდენ რვაჯერ გამოჩნდა მოედანზე პსვ-ს მაისურით. ამ მატჩებში ქართველმა ნახევარმცველმა ერთი გოლის გატანა და ერთხელ ყვითელი ბარათის მიღებაც მოასწრო.

ჩემპიონობიდან პრიზიორებში გადავინაცვლოთ და უკრაინელ მეტალურგებზე, გოჩა ჯამარაულსა და გიორგი დემეტრაძეზე ვთქვათ. უკრაინის ჩემპიონატის მესამეადგილოსნებისთვის ეს სეზონი ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ჯამარაულიც და დემეტრაძეც დონეცკის „მეტალურგის" ლიდერებად მიიჩნეოდნენ და გაამართლეს კიდეც. „ჯამარა" სულაც გუნდის კაპიტნად აირჩიეს დონბასელებმა, „დემე" კი „მეტალურგში" ნათამაშები 15 მატჩში 8 გოლით შეეწია გუნდს.

წარმატებული სეზონი ჰქონდა „ფრაიბურგსაც". ბუნდესლიგის საგზურის მომპოვებელ ფრაიბურგელებში ქართველები ძველებურად გამოირჩეოდნენ. თავად განსაჯეთ — სეზონში 21 საგოლე პასის მომქუჩებელი ალექსანდრე იაშვილი ჟურნალისტებმა მეორე ბუნდესლიგის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს, გუნდის კაპიტანი და ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი, ათი გოლის გამტანი ლევან კობიაშვილის გარჯით კი გერმანული ბობოლა „შალკეც" მოიხიბლა და გელზენკირხენელებმა ჩვენებურთან კონტრაქტის გაფორმებით დაიკმაყოფილეს მადა.

რანგით მაღალ ლიგაში ითამაშებენ ხვიჩა შუბითიძე და მიხეილ საჯაიაც, თუმც ისინი რეგიონალლიგიდან აღზევებას ხარობენ. შუბითიძე აუე-ს 9 გოლით შეეწია და ბლომად საგოლე პასებიც არიგა, საჯაია კი შედარებით იშვიათად ჩნდებოდა „უნტერჰახინგის" შემადგენლობაში, მაგრამ მის უთამაშებლობაში ხშირ ტრავმიანობასაც ერია ხელი.

ურიგო სეზონი არც „დანდის" ქართველებს ჰქონიათ. დანდელებმა მალევე გადაწყვიტეს პრობლემა — თავი შოტლანდიური პრემიერლიგის ზედა ექვსეულში დაიბევეს, მოგვიანებით კი წარმატებას ქვეყნის თასზე მიაღწიეს, სადაც ფინალში დამარცხდნენ „რეინჯერსთან". სქოთთა მთავარი ლიგის საუკეთესო ახალბედად მიჩნეული, საქართველოს ნაკრების მცველი ზურაბ ხიზანიშვილი „დანდიდან" სწორედ „რეინჯერსში" გადავიდა და აგვისტოდან ჩემპიონთა ლიგაშიც ითამაშებს.

ვერაფრით დაიკვეხნის დავით მუჯირის „შტურმი". გრაცელები თითქმის მთელი სეზონის განმავლობაში ეპოტინებოდნენ ჩემპიონთა ლიგის საგზურს, თუმც საბოლოოდ ინტერტოტოს თასზეც ვერ გავიდნენ. მუჯირმა და მისმა თანაგუნდელებმა ბოლო ტურებში გაანიავეს ქულები. ჩვენებურმა კი ავსტრიულ მაქსბუნდესლიგაში 26 მატჩი ითამაშა და 6 გოლი გაიტანა.

ლეგიონერთა შორის ყველაზე უხეში ფეხბურთელების გამორჩევაც შეგვიძლია. ამ მაჩვენებლით მარეკელი ამირან მუჯირი და ზაპოროჟიელი ირაკლი მოდებაძე „ჯობნიან" ყველას. ორივემ შვიდ-შვიდჯერ გამოსტყუეს მსაჯებს ყვითელი ბარათები. მოდებაძისთვის სეზონი იმითაც იყო უიღბლო, რომ მისი „მეტალურგი" უკრაინის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგას დაემშვიდობა.

და გიორგი ქინქლაძე. ინგლისურ „დერბი ქაუნთიში" ცალი ფეხით მოთამაშე ქართველი ფეხბურთელი ცალი თვალით ჯერაც სხვა კლუბისკენ იყურება. „დერბი" პირველი დივიზიონის ქვედა ნახევარში ჩარჩა და ოცნება — პრემიერლიგაში აღზევება — ისევ აუხდენელი დარჩა. ქინქლაძემ ამ სეზონში 28 მატჩი ჩაატარა და 4 გოლი გაიტანა. ახალ სეზონში კი მას ალბათ სხვა კლუბში ვიხილავთ.

კახა ზალამბერიძე

სახელი	გვარი	გუნდი	თამაში	გოლი	წუთი	გაფ.	გაძ.
იტალია. სერია A							
კახა	კალაძე	მილანი	22	0	2031	–	–
გერმანია. მეორე ბუნდესლიგა							
ალექსანდრე	იაშვილი	ფრაიბურგი	25	4	1855	1	0
ლევან	ცქიტიშვილი	ფრაიბურგი	30	2	2482	3	1
ლევან	კობიაშვილი	ფრაიბურგი	28	10	2429	4	0
გიორგი	დეკანოსიძე	ფიურტი	2	0	18	0	0
ჩრდილოეთ რეგიონალლიგა							
ხვიჩა	შუბითიძე	აუე	30	9	1451	4	0
სამხრეთ რეგიონალლიგა							
მიხეილ	საჯაია	უნტერჰახინგი	16	1	1039	.1	1
ინგლისი. პირველი დივიზიონი							
გიორგი	ქინქლაძე	დერბი ქაუნთი	28	4	–	3	0
შოტლანდია. პრემიერლიგა							
შოთა	არველაძე	რეინჯერსი	30	16	–	2	0
გიორგი	ნემსაძე	დანდი	24	2	–	3	0
ზურაბ	ხიზანიშვილი	დანდი	19	0	–	3	1
ჰოლანდია. პირველი დივიზიონი							
გოგა	გახოკიძე	პსვ	8	1	–	1	0
ავსტრია. მაქსბუნდესლიგა							
დავით	მუჯირი	შტურმი	26	6	1538	2	0
შვეიცარია. A/B ჯგუფი							
მიხეილ	ყაველაშვილი	ლუცერნი	24	5	–	–	0
შვეიცარია. B ჯგუფი							
ლევან	ხომერიკი	ვოლენი	7	3	–	–	0
ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა							
ამირან	მუჯირი	მარეკი	23	10	1799	7	0
ავთანდილ	გვიანიძე	ბოტევი	10	1	756	0	0
უკრაინა. უმაღლესი ლიგა							
შალვა	აფხაზავა	არსენალი	26	14	–	3	0
გიორგი	დემეტრაძე	მ. დონეცკი	15	8	–	2	0
გოჩა	ჯამარაული	მ. დონეცკი	22	4	–	2	0
ირაკლი	მოდებაძე	მ. ზაპოროჟიე	21	3	–	7	0
ვასილ	გიგიაძე	ტავრია	27	10	–	3	0
გოჩა	ტრაპაიძე	ტავრია	14	0	–	1	0
რევაზ	გოცირიძე	ჯრივბასი	4	0	–	1	0
ზურაბ	ფოფხაძე	ჯრივბასი	21	0	–	5	1
ლევან	მიქაძე	ჯრივბასი	12	0	–	1	0

უკვე დაიწყო?

რაიკარდის არგუმენტი: ჯრუიფმა შემაქო

„ბარსელონას“ ჰოლანდიელი დამრიგებელი ფრანკ რაიკარდი ძველი დროის კარიბელ მეკობრესავით კუნძულ არუბას მადლიან მზეს მიფიცხებია და სამომავლო პრიმერადივიზიონის შერკინებებზე თამამად მსჯელობს.

კატალონიური „სპორტი“ მაშინ გაესაუბრა ლეგენდარულ ფეხბურთელს, ოდეს იგი სამოთხისებრი არდადეგების ბოლო გაელვებით ტკბებოდა

— თქვენი კარიბული არდადეგები დასასრულს უახლოვდება?

— დიახ, ოთხშაბათს კატალონიაში ვიქნები და კლუბში სერიოზულ მუშაობასაც შევუდგები. არუბაში დასვენება შემდგომი დიდი ბრძოლებისთვის დამეხმარება.

— უკვე საკმაო კრიტიკოსები გამოგიჩნდათ, რახან ჯერ კიდევ არ ხართ ბარსელონაში...

— ესე იგი, უკვე დაიწყო? და ეს მაშინ, როდესაც საქმეს ხეირიანად არც მოვკიდებულვარ.

— „ბარსას“ უფროსობა როგორ დაგიკავშირდათ?

— ჩიკი ბეგირისტაინმა დამირეკა. მკითხა, მაინტერესებს თუ არა მასთან საქმიანი შეხვედრა. უარი არ მითქვამს.

— როდესაც შეხვდით, რაზე ისაუბრეთ?

— მითხრა, რომ არჩევნები დიდი უპირატესობით მოიგეს და მათი სამომავლო გეგმები გამაცნეს. სხვა საკითხებზეც დიდხანს ვილაპარაკეთ და საბოლოოდ „ბარსელონას“ მწვრთნელობაზე თანხმობა განვუცხადე.

— ხომ ვერ გვეტყვით რატომ?

— იმიტომ, რომ „ბარსელონა“ ბრწყინვალე გუნდია და იქ მუშაობა ნებისმიერი ადამიანისთვის უდიდესი პატივია. მისმა თითოეულმა წევრმა საქმეში სული და გული უნდა ჩადოს, რათა კლუბის დიად ისტორიას შესაბამისი პატივი მიაგოს. აქ ფულს არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ვიცი, „ბარსას“ ახლა ფინანსური პრობლემები აწუხებს. ეს იმიტომ ხდება, რომ უკანასკნელ წლებში მისი ხაზინა არაბუნებრივად ხელგაშლილი იყო.

— არცთუ ისე დიდი სამწვრთნელო გამოცდილება გაგაჩნიათ. ზოგიერთის აზრით, ახალგაზრდობის გამო, ეგზომ რთული მოვალეობის შესრულება ძალიან გაგიჭირდებათ...

— ხუან ლაპორტაც არ არის ასაკოვანი, პრეზიდენტობის გამოცდილებაც არა აქვს, მაგრამ არჩევნებში მას მხარი უმეტესობამ დაუჭირა. ახალგაზრდა პრეზიდენტს „ბარსელონაში“ ახალგაზრდა მწვრთნელი სჭირდება, ვინც მის გუნდში გაბედულ იდეებს განახორციელებს და გულშემატკივართან ურთიერთობას არ შეუშინდება.

— იოჰან კრუიფთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ?

— ძალიან კარგად ვიცნობთ ერთმანეთს. შესანიშნავი ურთიერთობა გვაქვს. ამას წინათ ჩემს კატალონიაში გადასვლაზეც ვისაუბრეთ და გადაწყვეტილება მომიწონა. არ მგონია, იოჰანს საფეხბურთო საქმეებში რაიმე ეშლებოდეს. მიუხედავად ამისა, გადაწყვეტილება ვისიმე ზეგავლენის გამო არ მიმიღია.

— და ვან გაალი?

— ლუისს იმ დროიდან ვიცნობ, როცა მისი მწვრთნელობისას ჩემპიონთა თასი მოვიგეთ. მე და ვან გაალი მეგობრები ვართ და მასზე კარგის მეტი არაფრის თქმა არ შემიძლია. გარდა ამისა, სხვათა ღირსებებისა თუ მიღწევათა შესახებ ლაპარაკს საკუთარ საქმეზე ფიქრი მირჩევნია. კატალონიაში სერიოზული მიზნებით ჩავდივარ.

— დიდი ხანი არ არის, რაც აქტიურ ფეხბურთს თავი დაანებეთ. უფრო მოთამაშედ ხომ არ გრძნობთ თავს, ვიდრე მწვრთნელად?

— ჩემი უკანასკნელი მატჩი, როგორც ფეხბურთელმა, 1995 წელს ჩავატარე. ვფიქრობ, საკმაო დრო გავიდა მას შემდეგ. მერე გუს ჰიდინკთან ერთად სანაკრებო გამოცდილება მიკიდე. საშუალო კლასის გუნდებთანაც ვთანამშრომლობდი. დღეისთვის მზად ვარ ისეთი გრანდის სადამრიგებლოდ, როგორიც „ბარსელონაა“. ეს კლუბი ყველა მწვრთნელის ოცნებაა. „ბარსა“ მარტო ფეხბურთი კი არა, ცხოვრების თავისებური, განსაკუთრებული სტილია.

— ჰოლანდიის ნაკრებს 4-4-2 სისტემით ათამაშებდით. ამ ტრადიციას კატალონიაშიც გააგრძელებთ?

— ყოველთვის ვეძებ ისეთ სისტემას, რომელიც ამა თუ იმ კლუბისა თუ ნაკრებისთვის მეტ-ნაკლებად ზედგამოჭრილი იქნება. ჯერ ტაქტიკურ მონახაზებზე ლაპარაკი ნაადრევად მიმაჩნია. იმისთვის, რომ სამი თავდამსხმელით ითამაშო, უპირველეს ყოვლისა, ისინი გუნდში უნდა გყავდეს. დავიცადოთ სატრანსფერო აურზაურის ჩამთავრებამდე. „ბარსას“ გულშემატკივრებს ლამაზად მოგებული თამაში სწყურიათ და მეც შესაბამისად ვეცდები, „ბარსელონური ფილოსოფია“ პრაქტიკაში განვახორციელო.

— ხალხი ეჭვიანობს. ლაპორტა ბევრ ვარსკვლავს დაჰპირდა, „ბარსელონამ“ კი მარტო თურქი რუშთუ მიიღო.

— დარწმუნებული ვარ, რომ უძლიერესი გუნდი გვეყოლება. მცირე ხანში პრობლემას წარსულს მივაბარებთ და სამომავლო წარმატებულ პროექტებზე ვიზრუნებთ. ეს ხომ „ბარსელონაა“, აქ მუშაობა ყოველი მწვრთნელისთვის რთული და საინტერესო საქმეა.

— თქვენ დიდ ევროპულ გრანდებში თამაშობდით. რა არის საჭირო იმისთვის, რომ რაიკარდის სადამრიგებლო გუნდი ისეთივე წარმტაცი საფეხბურთო მანქანა გახდეს, როგორც თავის დროზე „მილანი“ და „აიაქსი“ იყვნენ?

— სრული ურთიერთგაგება და დიდი პროფესიონალიზმი. ჩვენ გვეყოლება ისეთი გუნდი, სადაც ფეხბურთელები წაგებაზე უბრალოდ ვერ იფიქრებენ. დაცვასაც ჯეროვან ყურადღებას მივაქცევთ, ნახევარდაცვასაც და თავდასხმასაც.

— და თუ წინა ხაზი ჯეროვნად არ იქნება ვარსკვლავებით შევსებული?

— ეს დიდი პრობლემა იქნება. პრესა და გულშემატკივარიც ძირითადად გამორჩეულ მოთამაშეებზეა აქცენტირებული. მაგრამ ერთსაც გეტყვით — ტურინის „იუვენტუსს“ არ ჰყავს ისეთი ფეხბურთელები, როგორც მადრიდის „რეალს“, თუმც ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ვარსკვლავებით გაძეძგილი კასტილიური კლუბის დამარცხება მაინც მოახერხა. შესაბამისი ტაქტიკითა და განწყობით ჩვენ ნებისმიერ გრანდთან შევძლებთ საჭირო გამარჯვების მოპოვებას.



მარკ ვიდუკა

ბარსელონას ავსტრალიური ინტერესი

ინგლისური „ლიდსის“ ავსტრალიელი თავდამსხმელის, მარკ ვიდუკას აგენტმა ანდრეა დამიკომ დაადასტურა, რომ მისი კლიენტით ფრანკ რაიკარდია დაინტერესებული.

კატალონიური „ელ მუნდო დეპორტივოს“ ცნობით, დამიკო და „ბარსელონას“ ახალი დამრიგებელი უკვე სერიოზულად ბჭობენ ავსტრალიის ნაკრებისა და „ლიდსის“ ლიდერის საპრიმერო მომავალზე.

„რაიკარდთან საქმიანი საუბარი მქონდა. მან მითხრა, რომ ვიდუკას თამაშის მანერა ძლიერ მოსწონს“ — განუცხადა ფეხბურთელის აგენტმა ჟურნალისტებს. მარკ ვიდუკა ესპანეთში კარიერის გაგრძელების პერსპექტივით ფრიად მოხიბლული ჩანს, თუმც მისი შესაძლო ტრანსფერი იმაზეცაა დამოკიდებული, დარჩება თუ არა პატრიკ კლუივერტი „ბარსელონაში“. ანდრეა დამიკო კი ვიდუკას ბარსელონურ მომავალს იმედიანად შესცქერის. „დარწმუნებული ვარ, ტრანსფერი შედგება. „ბარსა“ დიდებული გუნდია და მარკისთვის იქ თამაში შესანიშნავი რამ იქნება“ — უთხრა მან „ელ მუნდო დეპორტივოს“. ავსტრალიელს „ლიდსში“ კონტრაქტი 2006 წლამდე უწევს თამაში. მაგრამ მეგოლეს ვალებში ჩაფლული გუნდში დარჩენის პერსპექტივა, ცხადია, არ ხიბლავს. „ბარსელონას“ ეიფელ-პრიზიდენტმა სანდრო როსელიმ კი თქვა: „ვიდუკა ერთ-ერთია იმ მობურთალთაგან, ვისი მოყვანაც გვინდა ფრანკ რაიკარდის თანხმობით. სამომავლო ფეხბურთელთა საკმაოდ დიდი სია არსებობს, თუმც მათი დასახელება არ გვსურს, რადგან ბევრი ლაპარაკით ზოგიერთი ძალიან მაღალი კლასის მოთამაშე დავკარგეთ“. ძნელია, სენიორ როსელის რაიმეში შეედავო.

ლადო ხომერიკი

ქვა და რკინა კარში

ჯოჯუმ ერთგულება ერთი წლით დაამტკიცა

ჰოლანდიელი ფილიპ კოკუ „ბარსელონას“ პირველი ფეხბურთელია, ვინც კლუბის ხელმძღვანელობის მიერ წამოწყებულ „სახელფასო შემცირების“ პოლიტიკას დაეთანხმა და ჯამაგირის განახევრების ხარჯზე კიდევ ერთი სეზონით დარჩა კატალონიაში. 32 წლის ფილიპი ამიერიდან 500 ათას ევროს მიიღებს. „ბედნიერი ვარ, „ბარსაში“ რომ ვრჩები. მე მარტო ფულის გამო არ ვთამაშობ. ასე რომ იყოს, იმ გუნდებში გადავიდოდი, რომლებიც „ბარსელონაზე“ ათჯერ მეტ თანხას მთავაზობდნენ“ — განუცხადა კოკუმ კატალონიურ „სპორტს“. „ბარსა“ კი ახლა „მონაკოს“ მექსიკელი მცველით, რაფაელ მარკესით დაინტერესდა. მარკესის პორტუგალიელი აგენტი ჟორჟე მენდესი ორშაბათს „ბარსელონის“ სპორტულ დირექტორ ჩიკი ბეგირისტაინს შეხვდა და მექსიკელის მომავალზე მოეთათბირა. მიუხედავად იმისა, რომ ბეგირისტაინი და მენდესი სატრანსფერო შეხვედრის შემდეგ მედიისა წარმომადგენლებს საკმაოდ სიტყვაძუნწად გაესაუბრნენ, იქაური „ეროვნული მუნდო დეპორტივო“ რაფაელ მარკესის გადაბირებას უკვე დაბეჯითებით ამტკიცებს.

გუშინ კი თურქმა მეკარე რუშთუმ სამედიცინო შემოწმება გაიარა და დაამტკიცა, რომ სავსებით მზადაა, „კამპ ნოუს“ კარი დაიცვა. „ბარსას“ ექიმმა ადრევოლმა რუშთუს შემოწმებისას ალფრთოვანება ვერ დამალა: „მსგავსი არაფერი მინახავს. ეს კაცი, მიუხედავად თავისი ხანგრძლივი კარიერისა, ძალუზიური ხარივით ჯანმრთელია. სხეულის ნაცვლად ქვა და რკინა აქვს!“. ერთი სიტყვით, მომავალ პრიმერას „ბარსელონა“ რკინა-ფოლადში შეაბჯრული ელოდება.

ლადო ხომერიკი

რუშთუს ჯანმა ბარსელონელი ექიმები გააკვირვა

ჩავდა!

აი, საგიჟეთი! დევიდ ბექემის სამედიცინო შემოწმებას სპონსორი ჰყავს. სამედიცინო შემოწმება, ბატონებო, მოიცავს შარდის ანალიზს, გულის გამოკვლევას, კუნთების შემოწმებას, ფილტვების შესწავლას... მას ოთხი საათი დასჭირდება და კერძო სამედიცინო კომპანია „სანიტას“ ამაში 350 ათასი ევრო გადაუხდია. ტესტირებას მადრიდის „რეალის“ ტელეარხი პირდაპირ ეთერში გადასცემს და ყოველივეს დაწყების დრო ისე შეარჩიეს, რომ შორეულ აზიაში ხალხმა ნახოს.

ბექემი გუშინ მადრიდის სამხედრო აეროპორტში, „ელ ტორეხონში“ ჩაფრინდა, დღეს კი მისი პრეზენტაციაა. პრესკონფერენცია კალათბურთის 5 ათასიან დარბაზში მოეწყობა. აკრედიტირებულია 500 ჟურნალისტი და 40 ტელეარხი. ამბობენ, ქომაგებისთვის 10 ევროდ იქნება შესვლაო.

შემდეგ „რეალი“ ბექემიანად აზიას გაეშურება და იქ ოთხ თამაშს გამართავს, რამაც გეგმის თანახმად 11,2 მილიონი ევრო უნდა მოიტანოს.

რაც შეეხება პირველ ნამდვილ ფეხბურთს, ეს 16 ან 17 აგვისტოს ესპანეთის სუპერთასზე, „მალიორკას“ წინააღმდეგ გაიმართება.

აბა, კარგად გამოვეწყოთ

*„რეალმა“ და მისმა ტექნიკურმა სპონსორმა „ადიდასმა“ მომდევნო სეზონისთვის ახალი ფორმების პრეზენტაცია მოაწყეს. სამოსი იმ ტექნოლოგიითაა დამზადებული, რომელსაც **DYNAMIE LAYERING CONCEPT DLC** ჰქვია და რომელი ტექნოლოგიით დამზადებული ფორმებიც ფეხბურთელებს პირველად კორეა-იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატზე ეცვათ. სპეციალური მატერია, რომლითაც ფორმებია დამზადებული, ორი — გარეთა და შიდა — შრისგან შედგება და მაქსიმალურ ვენტილაციას და კომფორტს უზრუნველყოფს. თითოეული კომპლექტის წონა სულ რაღაც 215 გრამია.*

საშინაო ფორმა

ტრადიციულ თეთრი ფერის მაისურებს მკლავებზე „ადიდასის“ ასევე ტრადიციული ზოლები დაჰყვება. საყელო ელასტიკური ქსოვილისგან არის შეკერილი და წინიდან ჩაჭრილია. მკლავების ბოლოებიც იმავე ელასტიკური ქსოვილისგანაა შეკერილი. „ადიდასის“ და „რეალის“ ლოგოები სამივე კომპლექტზე თერმულად არის დაბეჭდილი.

თეთრთ ტრუსებს გვერდებზე ასევე „ადიდასის“ ზოლები დაჰყვება, ხოლო გეტრებს წინიდან „ადიდასის“ ლოგოს გარდა მოკლე შავი სქელი ზოლიც ამშვენებს.

საგარეო ფორმა

ეს ფორმა მუქი ლურჯი ფერისაა, რომელიც „რეალს“ ადრეც გამოუყენებია. მკლავებზე „ადიდასის“ ზოლები ღია ცისფერია, ხოლო საყელო წინიდან, პირველი ფორმისგან განსხვავებით, ჩაჭრილი არ არის. იმავე ფერებშია დამზადებული ტრუსებიც, გეტრებს კი მოკლე სქელი ზოლი წინიდან კი არა, გვერდებზე აქვს.

სათადარიგო ფორმა

„რეალმა“ თავის ისტორიაში პირველად გამოიყენა რუხ-ცისფერი, ჯინსის მსგავსი ფერი, სახელოებზე ზოლები ოქროსფერია, მკერდზე „ადიდასის“ ემბლემა კი, მეორე ფორმის მსგავსად, ცისფერია. ტრუსები და გეტრები მეორე ფორმის მსგავსია.

ნომრები და გვარები

როგორც საფეხბურთო, ასევე საკალათბურთო „რეალის“ ფორმებზე გვარების და ნომრების ახალი დიზაინი მოიგონეს. ამ დიზაინის შრიფტი მხოლოდ „რეალს“ ექნება.

მთავარი ფორმის მაისურებზე წარწერები შავად გააკეთეს და ყვითელი კანტი დაჰყვება. მეორე და მესამე ფორმებზე ნომრები და გვარები თეთრი, შავი კანტით იქნება.

თითოეულ ნომერზე ქვედა ნაწილში, „რეალის“ ლოგოა ამოტვიფრული.

წამო, თითო პაელა ვჭამოთ!

რაულმა ბექემს ჭკუა დაარიგა

მადრიდის „რეალში“ იმდენმა ვარსკვლავმა მოიყარა თავი, რომ ბევრნი ამბიციათა შეჯახებასა და კონფლიქტს ელიან. მაგალითად, რაულის ინტერვიუს ინგლისურმა „სანმა“ ასეთი შესავალი გაუკეთა: რაულმა დევიდ ბექემი გააფრთხილა, რომ „რეალში“ სუპერვარსკვლავივით მიღებაზე არც იფიქროს. ესპანელმა ლეგენდამ იცის, რომ მსოფლიოს უდიადეს კლუბში კანონზე მაღლა არავინა, თვით რაულიც კი. და მან, როგორც ამბობენ, ცუდად მიიღო წინა კვირაში მწვრთნელის, ვისენტე დელ ბოსკესა და ვეტერანი ფერნანდო იეროს გაგდების ამბავი, რადგან აშკარად გამოჩნდა, რომ თუ პრეზიდენტს, ფლორენტინო პერესს შეეჯახა, შემდეგი თავად იქნება.

შემდეგ კი მოდის ინტერვიუ, რომელიც შესავლის გარეშე სრულიად ჩვეულებრივია, მოვიტანოთ ციტატები:

„რონალდო, ზიდანი და ფიგუ გასახდელში უბრალო ბიჭები არიან და ჩვენი გუნდის საუკეთესო თვისებაც ეს არის. ამ თვისების შესახებ ბექემმა იცის, რაც უთუოდ კარგ სამსახურს გაუწევს. რასაკვირველია, ბექემი მნიშვნელოვნად გაგვაძლიერებს, მაგრამ დანარჩენებმაც ჩვენი წილი თუ არ გავაკეთეთ, ვერავითარ ჯილდოს ვერ მოვიგებთ. ბევრს პირიქით ჰგონია, მაგრამ „რეალი“ უპირველესად ერთიანი ორგანიზმია. ინდივიდუალური გაბრწყინება კი მუდამ ბოლო არგუმენტად რჩება. ხომ გახსოვთ, ამბობდნენ, რომ რონალდოსთან ერთად ჩვენ ვერავინ დაგვამარცხებდა, მაგრამ ევროპულ შეჯიბრებაშიც და ესპანეთშიც პრობლემებმა იჩინა თავი. ახლა ბექემზე დაიწყეს ივივეს ლაპარაკი, ამიტომ ჩვენ ყველას ყურადღების უკიდურესი მოკრება გვმართებს...“

„რამდენადაც ვიცი, მას შეგუების პრობლემა არ ექნება. ჩვენც ცხადია, დავეხმარებით, ისე როგორც გეჩვეოდა, როდესაც ახალი ფეხბურთელი მოდის. „რეალში“ ყველას ერთნაირად ექცევიან, სახელისა და გვარის განურჩევლად“...

„სახელები და გვარები თავად მეტყველებენ, რომ ისტორიული „რეალის“, თითქმის ლეგენდარული გუნდის შესახებ ვსაუბრობთ. ჩვენ რომ თამაშები მოვიგოთ, სწორედ ასეთი გავხდებით. ბექემსაც საკმაო ქარიზმა აქვს, რათა ქომაგების გული მალევე დაიპყროს. ერთადერთი ოსტატობის ჩვენებაღა დარჩა... იგი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა. და მე ყოველთვის მისი ფანი ვიყავი“...

„სხვათათვის პირადი ცხოვრების საკითხებზე არასდროს არაფერი მირჩევია, მაგრამ ვფიქრობ, ბექემმა და მისმა ცოლმა ყველას გული იოლად უნდა მოიგონ. ამას ისევ იმის კეთებით შეძლებენ, რასაც აქამდე აკეთებენ. რატომ უნდა შეიცვალონ ცხოვრების წესი?“

„ჩვენ ყოველმხრივ შევუწყობთ ხელს, რათა ესპანურ ცხოვრებას მალე აუღონ ალღო და თუ საჭიროა, პაელაზეც დავპატიჟებთ“.

„ნომრის გამო დიდი ამბავი ატყდა, არადა, ბუნებრივი ამბავია — ახალი მოთამაშე თავისუფალ ნომერს იღებს“.

და ბოლოს, დავძინოთ, რომ „რეალმა“ დევიდ ბექემს კონტრაქტში ასეთი რამ ჩაუწერა: თუ ვინმეს მისი ყიდვა მოუნდება, 168 მილიონი ევრო უნდა გადაიხადოს, ანუ ბექემი დღეისთვის მსოფლიოს ყველაზე ფასეული ფეხბურთელია.

ბაბუნა ძედია



პერესმა თავი ბოდიშით იმართლა

სიმართლე გითხრათ, ცოტა არ იყოს, ძნელი გასაგები გახდა, რა ხდება „რეალში“. თითქოს ბუნტის სუნიც ტრიალებს. მაგრამ გარეგნულად ყველაფერი კარგადაა, კლუბის პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი კი ვნებათაღელვის ჩაცხრობას ლამობს. ეს ინტერვიუ მან ტელეკომპანია TVE-ს მისცა.



— ხომ არ გეშინიათ, რომ სიტუაცია შესაძლოა უმართავი გახდეს?

— არა. გულშემატკივრების ნერვიულობა ჩემთვის სავსებით გასაგებია, რადგან თავადაც გულშემატკივარი ვარ, ოღონდ უფრო მეტი პასუხისმგებლობა მაკისრია. მჯერა, რომ ხალხი გაგვიგებს.

— მაგრამ მოსაზრებას, რომ თქვენ დელ ბოსკე არ უნდა გაგეშვათ, არსებობის უფლება აქვს...

— ცხადია, აქვს. მეტიც, შესაძლოა, დელ ბოსკეს არაკორექტულადაც მოვექეცით, ვაღიარებ. მაგრამ გარწმუნებთ, მწვრთნელის სხვა ფორმით შეცვლა უბრალოდ შეუძლებელი იყო. თუმც მწვრთნელი რომ უნდა შეგვეცვალა, ამაში დირექტორატის წევრები ერთსულოვანნი ვიყავით.

— დელ ბოსკე კლუბიდან უფრო ღირსეულ გაცილებას იმსახურებდა...

— ჩვენ ყველანი უდიდეს პატივს ვცემთ ვისენტეს, მან კლუბში 35 წელი გაატარა. გარწმუნებთ, ძალიან ბევრი ვფიქრე, როგორი გაცილება მოგვეწყო. სამწუხაროდ, დელ ბოსკე უკმაყოფილო დაგვშორდა, რის გამოც ძალიან ვწუხვარ. თუკი რამეში შეცდი, მზად ვარ ბოდიშიც მოვიხადო.

— და იერო?

— იეროსთანაც რაღაც მსგავსი მოხდა. ის „რეალში“ 14 წელი იყო, მისი სიმბოლო გახდა და ვფიქრობ, სწორედ ახლა, ჩემპიონად გახდომის მერე უნდა წასულიყო. მას ამის თაობაზე ვესაუბრე და გამიგო. მაგრამ მერე, საზეიმო ვახშამდე რაღაც მოხდა, იეროს უკმაყოფილება შევამჩნიე. ასე რომ, ეს მე უნდა ვიყო ნაწყენი. თუმც ერთი ვახშამი ვერ გადასწონის მის დამსახურებას კლუბის წინაშე.

— ფეხბურთელები აღშფოთებულები არიან. რას აპირებთ?

— ყველაფერი თავის კალაპოტში უნდა ჩადგეს. რაიმე ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას არ ვაპირებთ. ყველას დაველაპარაკებით და ყველაფერს განვუმარტავთ.

— რაულთან კონტრაქტს გაახანგრძლივებთ?

— ამ დღეებში იმდენი ჭორი მოვისმინე, შეშფოთებული ვარ. ზოგი ამბობს, რომ რაული „მანჩესტერ იუნაიტედში“ მიდის, ზოგი კი ამტკიცებს, რომ ჩვენ მას საარაკო ხელფასი შევთავაზეთ. ყველაფერი ტყუილია. სიმართლე კი ისაა, რომ რაული „რეალის“ სახე და კაპიტანია.

— ბექემი მხოლოდ იმიტომ იყიდეთ, რომ ბევრი მაისურა გაგეყიდათ?

— გეკითხებით, ნუთუ ხალხი ფიქრობს, რომ თავის დროზე ზიდანი და რონალდოც მაისურების გაყიდვის მიზნით მოვიყვანეთ? ნუთუ არ ჩანს, რომ მათი მოსვლით „რეალის“ თამაში უფრო სანახაობრივი გახდა?

— კეირუშისთვის იეროს შემცვლელის პოვნა არ დაგივალებიათ?

— ამ თემაზე საუბარი არ გვქონია. და თუ მას ვინმეს ყიდვა უნდა, ვალდანოს უნდა დაველაპარაკოს.

— ეტოოს დაიბრუნებთ?

— ის დიდი ფეხბურთელია, „რეალს“ კი აქვს საშუალება ისიც და სხვა გასხვისებული ფეხბურთელებიც დაიბრუნოს.

— მომდევნო არჩევნებზე ახლა ხომ არ ფიქრობთ?

— ამ თემაზე საუბარი არ მსურს. ჯერ ამის დრო არ არის. ისე, ემილიო ბუტრაგენიო ბრწყინვალე პრეზიდენტი იქნებოდა.



როგორ მოხსნეს დელ ბოსკე

კლუბის ხელმძღვანელობა, სულ 16 კაცი, წინა ორშაბათს რესტორან „ელ სენიორიო დე ალკოსერში“ შეიკრიბა. საუბარი დელ ბოსკესთან სასიკეთოდ დაიწყო. სუფრასთან დასხდომამდე ფლორენტინო პერესი ხორხე ვალდანოსთან მივიდა და უთხრა, ვფიქრობ, დელ ბოსკეს კონტრაქტი უნდა გავუგრძელოთო.

ამის შემდეგ მწვრთნელის მომკილი შედეგები შეაჯამეს, შეაფასეს და თქვეს, რომ დელ ბოსკე შესაფერისი კანდიდატურაა კლუბის ახალი პროექტისთვის.

მაგრამ ნელ-ნელა ყველაფერი თავდაყირა დადგა, როცა საუბარი დელ ბოსკეს მუშაობის მეთოდებზე მიდგა:

— ფეხბურთელები მას თავზე დასხდნენ და ყველაფრის უფლება აქვთ;

— გახურებული სეზონისას ფეხბურთელები ერთი-ორი დღით უცხოეთში დადიან;

— მატჩების წინ გუნდში საბრძოლო განწყობა არ არის.

ამ და სხვა ბრალდებებმა ვისენტე დელ ბოსკეს დამსახურებები გაანადგურა.

რონი რიოში

მადრიდის „რეალი“ დიდი ცვლილებების წინაშე დგას. გუნდში ახალი მწვრთნელი კარლოს კეირუში მოვიდა, „რეალის“ საკალათბურთო დარბაზში კი დევიდ ბექემი ოფიციალურად გახდა კლუბის ახალი წევრი. გუნდიდან მხცოვანი კაპიტანი ფერნანდო იერო გაუშვეს, „რეალის“ სიმბოლომ, რაულმა კი ხელმძღვანელობას შეუტია.

და სად არის ამ ორომტრიალში რონალდო?

ის კუთვნილ შვებულებას იყენებს და მონატრებულ რიოში ეფიცხება მზეს.

თუმცა კიჭას რას მოასვენებენ და მასაც საქველმოქმედო ბურთაობისთვის მოუცლია: რიო დე ჟანეიროს „ჟურნალ კუტინიოს“ სტადიონზე კარგი საქმისთვის გახურებულ თამაშში ჩაბმულა.

ფერნანდო არ დაიკარგება

იერო ძმამ მალაგაში დაჰპატიჟა

ფერნანდო იეროს მისა ყოფილი უფროსის ლორენსო სანსის (შუაში) შვილი ეპატიჟება

უკვე ვწერდით, რომ „რეალის“ გაგდებულ კაპიტანს ფერნანდო იეროს მადრიდულივე „რაიო ვალეკანო“ ეპატიჟება — აწ უკვე სეგუნდადივიზიონის კლუბი. მაგრამ იერო ის კაცი არ არის, „რაიოზე“ უკეთესმა გუნდებმა ყურადღება არ მიაქციონ და, აი, ინებეთ: ლისაბონის „ბენფიკა“ და „მალაგა“.

„ჯერ „რეალთან“ უნდა გავარკვიოთ კომპენსაციის საკითხი — თქვა ფეხბურთელის აგენტმა ზორან ვეკიჩმა — ამიტომ კარიერის გაგრძელებაზე ლაპარაკი ნაადრევია. ზუსტად იმასაც ვერ გეტყვით, ისურვებს თუ არა ფერნანდო ფეხბურთის კვლავაც თამაშს.“

ისურვებს, ისურვებს. ყოველ შემთხვევაში, თავად იერომ აგენტზე მეტი გაამხილა: „კარიერის დასრულებაზე ჯერ არ ვფიქრობ. ალბათ, უცხოეთში წავალ.“

უცხოური ვარიანტებიდან კი, როგორც თავში მოგახსენეთ, „ბენფიკა“ ჩანს, რომელსაც, შეგახსენებთ, ესპანეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ხოსე ანტონიო კამაჩო უდგას სათავეში.

მაგრამ ნურც „მალაგას“ გამოვრიცხავთ, თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ იქ ტექნიკურ დირექტორად ვინმე მანოლო იერო მუშაობს — ვინმე კი არა, ფერნანდოს ღვიძლი ძმა.

თუმც მანოლო იერო ჯერჯეროობით არაფერს ამბობს: ახლა შესაფერისი დრო არ არის, ფერნანდოს ჩვენთან გადმოსვლა შევთავაზოო.

ისე, „მალაგა“ პრიმერადივიზიონის რეკორდსმენია იქ ძველი რეალელების გადაბარგების თვალსაზრისით. დღეისთვის კი ყოფილ რეალელთაგან იქ „რეალის“ ყოფილი პრეზიდენტის, ლორენსო სანსის ვაჟი, ფერნანდო თამაშობს.

„იერო დიადი ფეხბურთელია — თქვა ფერნანდო სანსმა — ის აშკარად არ იმსახურებს ფეხბურთიდან ასეთი ფორმით წასვლას. ბედნიერი ვიქნები, თუ ის ჩვენთან გადმოვა და მასთან ერთად კვლავ მომეცემა თამაშის საშუალება. მართალია, ფერნანდოს თავის დროზე ჩემთვის უთქვამს, „რეალის“ გარდა არსად ვითამაშებო, მაგრამ ვინ იცის, „რეალიდან“ თუ გაგდებდნენ, ესეც ხომ ვერ წარმოედგინა.“

ბოლოს კი ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტიც იეროს „მალაგაში“ გადასვლისთვის — იერო ანდალუზიელია, მალაგა კი ანდალუზიის მთავარი ქალაქია.

ჰოლანდიელმა, ჰოლანდიელს ჩემთან შნდაო

იაპ სტამმა ყოველგვარი ხმები უარყო — „ლაციოდან“ არ წავალო. არადა, ჰოლანდიელი მცველის შეძენას, აშკარად თუ მალულად, „ინტერი“, „მილანი“, „იუვენტუსი“ და ბოლო ჭორების თანახმად, „არსენალიც“ ცდილობდნენ.

სტამმა თავის საინტერესო ვებგვერდზე დაწერა:

„ჰაიბერიზე“ არ წავალ. საერთოდ, ლონდონში ან პრემიერლიგაში გადასვლა ჩემს გეგმებში არ შედის, „ლაციოში“ ვრჩები. რომში კონტრაქტით კიდევ ორი წელიწადი მრჩება და მსურს ამ ამბავს ვცე პატივი. დღევანდელი მდგომარეობაც მაკმაყოფილებს — ქალაქს მეც კარგად შევეწყე და ჩემი ოჯახიც“.

რაც შეეხება მცველის აგენტს, „ტორინოს“ ყოფილ მოთამაშეს პასკუალე ბრუნოს, იგი ამბობს:

„იაპი „ლაციოდან“ წასვლას თუ დააპირებს, მხოლოდ იტალიურ ფეხბურთში დარჩება. იგი „მილანში“, „ინტერში“ ან „იუვენტუსში“ გადავა“.

ერთი სიტყვით, ნათელია, რომ აქ იმდენად სტამის „ლაციოში“ დარჩენაზე არ არის საუბარი, რამდენადაც მის „არსენალში“ არგადასვლაზე. როგორც ჩანს, ერთი-ორი დღის წინ დარხეული ხმას, თითქოს ჰოლანდიელს ლონდონელები ურიგდებიანო, მის ყოფილ ინგლისურ გუნდ „მანჩესტერ იუნაიტედს“ გულში მოხვდა და სადღაც, კულუარებში, რეაქციაც მისცა, თორემ ასეთი ციცი უარყოფა და ლამის იმის განცხადება, ლონდონის გარდა ყველაფერიო, რა საჭირო იქნებოდა?

ამასობაში კი „მილანის“ ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა კლარენს ზეედორფმა განაცხადა, რომ მეგობარს „ლაციოდან“ სწორედ მის გუნდში სურს გადასვლა.

„იაპს ხშირად ველაპარაკები და ვისმენ, რომ „მილანში“ უნდა თამაში. მე რომ ახლა ამ სიტყვებს ვამბობს, ესეც მისი ნებართვით ხდება. მთხოვა, ჩვენი ქომაგებისთვის მისი სურვილის ამბავი გადამეცა“ — უთხრა ზეედორფმა ჟურნალ „კონტროკამპოს“.

ხოლო „მილანსა“ და „ლაციოს“ შორის ურთიერთობა რთულდება — ადრიან მუტუ, რომლის შეძენაც ასე უნდა „ლაციოს“, ახლა „მილანსაც“ მონდომებია და ვინ იცის, „პარმასა“ და რომაელთა გარიგება გვარიანად არიოს. ამბობენ, რომ „შავ-წითლებმა“ 24 წლის რუმინელის ხელში ჩასაგდებად უკვე გადადგეს სრულიად თამამი და საქმიანი ნაბიჯი. თითქოს, მუტუს სანაცვლოდ მილანელები „პარმას“ იონ დალ ტომასონს და ფულს ჰპირდებიან.

სხვათა შორის, „მილანი“ „პარმას“, კიდევ, მარკო ბორიელოს აძლევს და სანაცვლოდ ემილიანო ბონაცოლის ართმევს.

პაპუნა კედია



იაპ სტამს იტალიიდან წასვლაზე არც უფიქრია

ფაბიო კანავარო

ინტერფრონტები

ფაბიო კანავარომ გაიხარა, როდესაც შეიტყო, რომ „ინტერმა“ მისი „პარმას“ დროინდელი თანაგუნდელი საბრი ლამუში იყიდა.

„მიხარია, რადგან საბრი დიდი პროფესიონალი და უეჭვოდ მაღალი კლასის ნახევარმცველია — განაცხადა კანავარომ — მას დიდი გამოცდილება ამდიდრებს — კარიერაში უდიდეს გუნდებში უთამაშია“.

ლამუშის „ინტერში“ გადაყვანა დომენიკო მორფეოს საპირისპირო მიმართულებით გაშვებაზე მიანიშნებს. თუმცა კანავაროსთან საუბრისას უპირველეს ყოვლისა, მის მომავალზე რომ იკითხავდნენ, რად უნდა ლაპარაკი.

„ერთი სული მაქვს, როდის დაიწყება ახალი სეზონი. გასული სეზონი დაძაბული და საინტერესო გახლდათ, მაგრამ ვერაფერი მოვიგეთ. ახლა, ახალ კამპანიას გამარჯვების რწმენით დავიწყებთ“ — განაცხადა კანავარომ და, როგორც შეატყეთ, ერთი სიტყვაც არ უთქვამს მის „რეალსა“ თუ „ბარსელონაში“ გადასვლის შესახებ.

„ინტერი“ კი ლამუშის გარდა სხვა საქმეებითაცაა დაკავებული. კერძოდ, ლონდონის „არსენალისგან“ ფრედი ლიუნგბერგის გარდა ფრანგი რობერ პირესის გამოთხოვას იმედოვნებს და სანაცვლოდ ემრეს პლუს ფულს სთავაზობს.

მილანელები მუშაობენ საფრანგეთის ფრონტზეც — „ბორდოსგან“ ედუარდო კოსტას ყიდულობენ, ამბობენ, რომ „ინტერი“ ბრაზილიელში 8 მილიონ დოლარს იხდის.

პაპუნა კედია

მოდის... რევოლუცია მოდის!

ფრანგული ფეხბურთის ერთ-ერთი უდიდესი ვარსკვლავყოფილი, ერიკ კანტონა ამბობს, რომ შესაძლოა, საფეხბურთო სამყაროს სრულიად რევოლუციურადაც დაუბრუნდეს, ოღონდ... მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დიდი გუნდის, ვთქვათ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელად დანიშნავენ.

„ფეხბურთთან დაკავშირებით სრულიად კონკრეტული მოსაზრებები მაქვს და თუ ამ მოსაზრებების განხორციელების ნებას დამრთავენ, გუნდის წვრთნასაც მოვკიდებ ხელს. ჩემი ჩანაფიქრი უთუოდ რევოლუციურია და მის ფრთაშესხმას ძლიერი ფეხბურთელები სჭირდება, როგორებიც, მაგალითად, „მანჩესტერ იუნაიტედს“ ჰყავს. ოღონდ ეგაა, ამ იდეის განხორციელებას კარგა ხნიანი არეულ-დარეულობა მოჰყვება“ — თქვა კანტონამ, რომელიც 1992 წლიდან 1997 წლამდე სწორედ მანჩესტერელი ქომაგების კერპი გახლდათ და „ოლდ ტრეფორდს“ ოთხი ჩემპიონის ტიტული, ორი ასოციაციის თასი და სხვა მრავალი ბედნიერი წამი უძღვნა.

„მანჩესტერიდან იმიტომ წავედი, რომ თამაშის წყურვილს, ჟინს ვეღარ ვგრძნობდი. მე კომერციულ მხარეში ვერ გავიწაფე და პროდუქტად ყოფნა არ ვინდომე, ყველფერს თავი დავანებე. ვიგრძენი, რომ უნდა წავსულიყავ“ — განაცხადა ვარსკვლავმა, რომელსაც 1998. წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე აღარ უთამაშია, თუმცა ამას არც დარდობს.

„ნაკრებში რომ არ მიმიწვიეს, ალბათ ჩემი პიროვნების გათვალისწინებით მოხდა. მართლაც, რა აზრი აქვს თუნდაც მსოფლიოს ათგზის ჩემპიონობას თუკი ეს ადამიანის მრწამსს ეწინააღმდეგება? მე ფრანგობა არ შეამაყებს. მახსოვს, „მანჩესტერის“ შემადგენლობაში თასის ფინალს რომ ვთამაშობდი და ბრიტანეთის ჰიმნი დაუკრეს, ვტიროდი“.

და ბოლოს მშობლიურ მარსელზე: „გულისა და აზრის ბრძოლაში გული იმარჯვებს, როდესაც გავიგებ, რომ „მარსელმა“ წააგო, მწყინს, არადა თუ სპორტულ სამყაროში რამე მძულს, მარსელშია თავმოყრილი“.

პაპუნა კედია



ერიკ კანტონას მწვრთნელობა უნდა

ფეხბურთის რუკასთან

პარაგვაის ნაკრების ყოფილი მეკარე ხოსე ლუის ჩილავერტი ურუგვაულ „პენიაროლში“ გადავიდა. იქაური ქომაგები ამ ტრანსფერს დიდი ოვაციებით არ ხვდებიან და აცხადებენ, რომ „პენიაროლის“ ბოლოდროინდელი წარუმატებლობები კარგი თავდამსხმელების ნაკლებობის ბრალია და არა მეკარეების. თუმცა ჩვენთვის კარგად არის ცნობილი, რომ ჩილავერტს გოლების გატანაც მშვენივრად ეხერხება. „მე აქ იმისთვის გადმოვედი, რომ ჩემპიონი გავხდე და არა მეორეადგილოსანი. წარმატების ყიდვა არ შეიძლება. ის უნდა მოიპოვო, იმედი მაქვს არაერთ გოლს გავიტან“ — აი, ასეთი დამაიმედებელი განცხადება გააკეთა ჩილავერტმა, მაგრამ ისიც აღნიშნა, რომ შედეგის მისაღწევად „პენიაროლს“ ბევრი შრომა დასჭირდება.

სერბეთის და ჩერნოგორიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი ჯერჯერობით ისევ თავისუფალია. აზერბაიჯანთან სამარცხვინო მარცხის (1:2) შემდეგ ეს პოსტი დეიან სავიჩევიჩმა დატოვა და ცოტა ხნის წინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მის ნაცვლად ნაკრები ბორა მილუტინოვიჩს უნდა ჩაებარებინა, მაგრამ ცნობილმა მწვრთნელმა, რომელიც მექსიკას, კოსტა-რიკას, აშშ-ს, ნიგერიასა და ჩინეთს წვრთნიდა და ხუთივე მსოფლიოს ჩემპიონატზე ათამაშა, ოჯახური პრობლემების გამო შესაძლოა უარი თქვას წინადადებაზე.

უკრაინული „შახტარის“ ახალი მწვრთნელი ბერნდ შუსტერი მეკარეს ეძებს და, შესაძლოა, არგენტინელი რობერტო ბონანო გადაიბიროს. „ბარსელონასთან“ კონტრაქტი ბონანოს 1 წლის შემდეგ უმთავრდება, მაგრამ კატალონიიდან მისი წასვლა, ფაქტობრივად, მას შემდეგ გადაწყდა რაც „ბარსამ“ რუშთუ რექბერი იყიდა. აქამდე ბონანოს „უელვაში“ შესაძლო გადასვლაზე იყო საუბარი, ხოლო ბოლო დროს თითქმის გადაწყვეტილი გახლდათ, რომ 33 წლის გოლკიპერი კარიერას მექსიკაში გააგრძელებდა. ახლა კი „შახტარიც“ გამოჩნდა.

ესპანეთის სეგუნდა დივიზიონის კლუბ „ლევანტეს“ „სელტას“ კაპიტნის ალექსანდრ მოსტოვოის გადაბირება სურს. შეგახსენებთ, რომ „ლევანტემ“ ამ სეზონში (III დივიზიონში) მე-4 ადგილი დაიკავა და მხოლოდ ერთი საფეხური დააკლდა პრიმერადივიზიონში აღზევებამდე. „ლევანტეს“ ხელმძღვანელობამ უკვე შესთავაზა მოსტოვოის ორწლიანი კონტრაქტი. ხოლო კონტრაქტის ფინანსური მხარე დაახლოებით ისეთია, როგორც რუს ფეხბურთელს „სელტაში“ ჰქონდა.

რუნეების ოჯახი



ძველ ქართველებს სწორედ ამათზე უთქვამთ, დედა ნახე, მამა ნახეო... რუნების ოჯახზე მოგახსენებთ, კანკუნის პლაჟზე სამი დათვივით რომ მიბაჯბაჯებენ.

უეინ რუნი ვინც არის, შეხსენება ვინძლო უადგილო იყოს, მის მშობლებს კი უთუოდ სჭირდებათ წარდგენა. ჰოდა, იცნობდეთ: დედა რუნი, ჯენეტი, 35 წლისაა და ლიერპულის ერთ-ერთ სკოლაში მებუფეტედ მუშაობს, ხოლო მამა რუნი, იმასაც უეინი ჰქვია, მშენებელია, ოღონდ ზურგის ტკივილების გამო ვეღარ მუშაობს. მოკლედ, ნაღდი პროლეტარული ოჯახი იქნებოდა, შვილის ფულები რომ არა.

შვილი რუნი კი — ის ახლა 17 წლისაა — „ევერტონში“ კვირაში 13 ათას გირვანქას იღებს და ახლახან „ნაიკთანაც“ გააფორმა სარეკლამო კონტრაქტი, რაშიც ერთი მილიონი გირვანქა გადაუხადეს.

ახლა უმცროსი უეინი შვებულებაშია და პროლეტარი მშობლები კურორტ კანკუნში წაიყვანა. ამ კურორტის სახელი ალბათ პირველად გაიგეთ, ამიტომ განვმარტოთ — ის მექსიკაშია, იქ მდიდარი ადამიანები ისვენებენ და თოფიანი კაცებით საგანგებოდაა დაცული.

უმცროსი უეინი კარგი შვილია, მაგრამ მისი ასაკის ბიჭისთვის მშობლებთან ერთად დასვენება მაინცდამაინც სახალისო არ უნდა იყოს. ამიტომ მექსიკაში თავისი გულისწორი, 17 წლის კოლინ მაკლოჰლინიც წაიყვანა, რომელიც, ფოტოზეც შენიშნავდით, გვარიანად პუტკუნა გოგოა და ფეხბურთის თამაშიც ყვარებია.

ახლა იმ ფოტოს დააკვირდით, რომელზეც მამა რუნი ხელებს იქნევს. ხელები მას მისალმების ნიშნად გაუშლია და იცით, ვის ესალმება? კოლინის მამას, რომელიც კადრში არ ჩანს. სამაგიეროდ, კადრში ჩანს კოლინის დედა, რომელსაც ტალღამ გადაუარა და თვალებს ისრესს.

და, ცხადია, უკვე მიხვდით, რომ უმცროსი რუნის გულისწორის მშობლები მექსიკურ კურორტზე შემთხვევით არ მოხვდებოდნენ. ბარემ დავძინოთ, რომ ექვსკაციანი მექსიკური ვოიაჟი უმცროს უეინს 30 ათასი გირვანქა დაუჯდა.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ამინდის ჭირვეულობას სრულ იდილიაში დისონანსი შეუტანია. თავსხმა წვიმას და საშინელ ქარს დენის და ტელეფონის კაბელები დაუწყვეტია და ერთი ღამე რუნებმა, მაკლოჰონებმა და სხვა დამსვენებლებმა სანთლის შუქზე, გარე სამყაროსგან მოწყვეტილებმა გაატარეს.

ადგილობრივ მაცხოვრებლებს მხრები აუჩეჩიათ, ასეთი საშინელი ამინდი არ გვახსოვსო.

ხოლო უეინ რუნის მექსიკურ ბუნებასთან გაჯიბრება განუზრახავს და 3-მეტრიან ტალღებში გაუცურავს და გამოუცურავს.

ახლა, როცა საშვებულებო ამბები გავარჩიეთ, უეინ უმცროსის ინგლისურ ცხოვრებას მივხედოთ.

უეინი და კოლინი თურმე უკვე ცხრა თვეა, ერთმანეთს ყვარობენ. გოგო სკოლაში სწავლობს და უეინი მალიმალ აკითხავს გაკვეთილების შემდეგ. ოღონდ ნუ იფიქრებთ, რომ ძვირფასი მანქანით აკითხავს — უეინს საერთოდ არ ჰყავს მანქანა, რაკი მისთვის მოწმობის მისაღები გამოცდა ჯერ არ ჩაუბარებია.

თურმე უეინი დედასაც ეხვეწება, ამდენი ფული მაქვს და რად

გინდა, რომ მუშაობო, მაგრამ დედა რუნი თავის ბუფეტს ვერ ელევა. ცნობისთვის: მისი ჯამაგირი კვირაში მხოლოდ 100 გირვანქაა.

და ერთიც: უეინს სვენ გორან ერიკსონიც არ აკონტროლებს ისე, როგორც დედა. ხელები დაიბანე, დროზე დაწექი, სახლში ამოდი — თურმე ამის ძახილშია. აბა, გაბედოს უეინმა და არ დაუჯეროს, მაშინვე ალიყურს მიიღებს.

კოტე კეკელია

პოლ გესქოინი ჩინელებთან ჩასვლას უარობს

გაზა გამოიქცა

ინგლისის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი პოლ გესქოინი ჩინეთში, კერძოდ, „განსუ ტიანმაში“ მანამდე არ დაბრუნდება, სანამ ვალს არ გადაუხდიან.

„პოლს განსუში ფული ეკუთვნის და ვიდრე პრობლემა არ მოგვარდება, ჩინეთში არ დაბრუნდება“ — განაცხადა ვეს სონდერსმა, გესქოინის აგენტმა. შეგახსენებთ, რომ ინგლისელს, რომელიც აპრილში ლოთობისგან განსაკურნებლად აშშ-ში, კერძოდ არიზონას შტატის ერთ-ერთ კლინიკაში მკურნალობდა, განსუს გუნდთან ერთწლიანი კონტრაქტი ჰქონდა დადებული, რომლის თანახმადაც, ივი მწვრთნელიც უნდა ყოფილიყო და ფეხბურთელიც. როგორც ირკვევა, 36 წლის ყოფილი ვარსკვლავი 10 ივნისს უნდა დაბრუნებულიყო სამუშაო ადგილას, მაგრამ ასე არ მოიქცა და განსუელებს ჩინეთის ფეხბურთის ფედერაციაში ჩივილის საბაბი მისცა.

სონდერსი: „პოლისთვის ხელფასი დროულად ერთხელაც არ გადაუხდიათ. მას აპრილისა და მაისის ჯამაგირიც კი არ აუღია. ჩვენ პერიოდულად ვახსენებდით კლუბს, რომ კუთვნილ ფულს გადახდა უნდა, მაგრამ ყურს არავინ იბერტყავდა. პოლმა, რაც ევალებოდა, ყველაფერი გააკეთა და დღეს თავს მოტყუებულად გრძნობს. ის არ ამბობს, რომ განსუში არასდროს დაბრუნდება, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, გარანტიები სჭირდება“.

აგენტმა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას გესქოინის საქმის კურირება სთხოვა. რაც შეეხება ჩინურ მხარეს, ჩვენს ხელთაა „განსუ ტიანმას“ მწვრთნელის, უანგ ტონგპოს კომენტარი:

„გესქოინის არყოფნამ გუნდის ნორმალურ წვრთნასა და კომერციულ მხარეზე ძლიერ იმოქმედა, ამიტომ, ამბავი ჩინეთის ფეხბურთის ფედერაციას ვაცნობეთ და ვთხოვეთ დაუკავშირდეს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას, რათა ფეხბურთელის პასუხისმგებლობის საკითხი გაარკვიონ: მისთვის „კომერციული ვანვითარების“ საზღაური მართლაც არ გადაგვიხდია და ამის მიზეზი ის არის, რომ გესქოინს ამ კუთხით არაფერში არ მიუღია მონაწილეობა. მისი ხელფასისა კი ცენტიც არ გვმართებს“.

ამ დღეებში სადღაც გაკრთა ინფორმაცია, რომ სინამდვილეში გესქოინი ჩინეთიდან ატიპურ პნევმონიას გამოექცა.

პაპუნა კედია

ფინეთი

X ტური

ინტერი 2:0 ჯაზი

ჰიკ	10	6	3	1	17:7	21
ჰაკა	8	6	1	1	17:4	19
ტამპერე	9	6	0	3	13:8	18
ჰამენლინა	10	5	3	2	12:12	18
ალიანსი	8	5	2	1	20:11	17
მიუპა	9	5	2	2	15:6	17
ტურკუ	10	4	2	4	15:14	14
იარო	10	2	5	3	15:14	11
იოკერიტი	10	3	2	5	12:11	11
ლაჰტი	10	2	4	4	11:15	10
კტპ	10	3	0	7	13:21	9
ინტერი	10	2	2	6	10:19	8
ჯაზი	10	2	1	7	9:22	7
კუოპიო	10	2	1	7	12:27	7

ნორვეგია

XII ტური

ლინი 1:1 ვოლერენგა

რუსენბორგი	12	10	2	0	34:8	32
სოგნდალი	12	6	3	3	22:16	21
სტაბეკი	12	5	5	2	20:14	20
ოდ გრენლანდი	12	6	2	4	22:21	20
ბოდიო გლიმტი	12	5	4	3	17:13	19
ვიკინგი	11	4	6	1	19:12	18
ლინი	12	4	4	4	17:20	16
ვოლერენგა	12	3	5	4	15:14	14
ბრანი	12	4	1	7	22:22	13
ლილესტრიომი	12	2	6	4	10:21	12
მოლდე	11	3	2	6	13:19	11
ალესუნდი	12	1	6	5	16:22	9
ტრომსიო	12	2	3	7	16:28	9
ბრანი	12	1	5	6	11:24	8

შვედეთი

XII ტური

იურგორდენი 3:0 ჰამარბი

ენკიოპინგი 0:1 გიოტებორგი

მალმიო 5:0 ჰელსინგბორგი

იურგორდენი	12	8	1	3	28:9	25
ჰამარბი	12	6	4	2	17:14	22
მალმიო	12	6	3	3	22:12	21
აიკ	11	6	2	3	20:13	20
იორებრო	11	6	1	4	19:18	19
ჰელსინგბორგი	12	5	3	4	14:19	18
ჰალმსტადი	11	5	2	4	18:15	17
გიოტებორგი	12	4	4	4	18:12	16
ელფსბორგი	12	4	4	4	15:19	16
იორგრიტე	11	4	2	5	14:19	14
ლანდსკრონა	12	3	4	5	14:18	13
სუნდსვალი	11	2	4	5	11:15	10
იოსტერი	11	2	2	7	10:20	8
ენკოპინგი	12	1	2	9	10:27	5

მკვლელობა ახვაზში

რას განიცდის ფეხბურთელი, როდესაც მის მეტოქეს გოლი გააქვს? ცხადია, იმედგაცრუებას და წყენას. ამ დროს მეტოქისადმი მიძღვნილი მადლიანი გინებაც არავის გაუკვირდებოდა, მაგრამ ის, რაც ირანის პროვინცია ახვაზში მოხდა, ყველანაირ საზღვარს სცილდება.

ახვაზში ორი სამოყვარულო გუნდი ხვდებოდა ერთმანეთს და მალე ანგარიშიც გაიხსნა, ერთ-ერთმა მეტოქემ გოლის გამტანს სიხარული არ აცალა, ჯიქურ მიეჭრა და თავში უმოწყალოდ ჩაარტყა ხელი. უბედური მეგოლე უგონოდ დაეცა და მოედნიდან გასაყვანი შეიქნა. თამაში გაგრძელდა და ცოტა ხანში სტადიონზე გამოაცხადეს, გოლის გამტანი გარდაიცვალაო. ყველა გაოგნდა, ცხადია, მატჩი შეწყდა. ყველაზე სწრაფად ფეხბურთელები მოეგნენ გონს. სტუმარიც და მასპინძელიც დამრტყმელ ახვაშელ ახვარს შემოეხვივნენ და პოლიციას გადასცეს.

ასეთი სამწუხარო ამბავი ამცნეს მსოფლიოს ირანულმა სააგენტოებმა.

პაატა კვანტალიანი

იტალიური ტრანსფერები 2003

ანკონა

მოვიდნენ
კარუზი (კალიარი)
ჯაკობო (მესინა)
ლუიზო (სალერნიტანა)
მონტერვინო (ნაპოლი)
მოსკარდი (ჯენოა)
მუსი (არეცო)
პეკარიზი (არეცო)
მადს იორგენსენი (ბრონდბიუ, დანია)

წავიდნენ
ბუდანი (პალერმო)
კერიონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
დე პატრე (კონტრაქტი დაუმთავრდა)
გრაფიედი (მილანი)
ლომბარდი (ინტერი)
მაგონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მუნდულა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
პასილია (არეცო)
რობიატი (ინტერი)
სარი (მილანი)
სკარპი (ინტერი)
სკენარდი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ტარანა (პარმა)

ბოლონია

მოვიდნენ
გამბერინი (ვერონა)
როკატი (დანდი, შოტლანდია)
მანინგერი (ტორინო)

წავიდნენ
ფალკონე (სამპდორია)
ფრარა (იუვენტუსი)
პარამატი (რეჯინა)
სალვეტი (ვერონა)
ვანოლი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ძანკი (იუვენტუსი)

ბრეშა

მოვიდნენ
ალიარდი (კოზენცა)
კარაჩოლო (პერუჯა)
კასტელაცი (კატანია)
კორეა (მარტინა)
ე. ფილიპინი (პარმა)
გონსალესი (სალერნიტანა)
გუანა (კალიარი)
მატუზალემი (პარმა)
ნიგაარდი (ექსელსიორი, ჰოლანდია)
სალგადო (ვერონა)
სტანკევიჩიუსი (კოზენცა)
ილანა (ვერონა)
ა. ლუკარელი (პალერმო)
რამონი (ტრიესტინა)

წავიდნენ
კორტელინი (ლუმეცანე)
ტონი (პალერმო)
აპია (პარმა)
ბილიკა (პალერმო)
ჯუნტი (ბეშიქთაში, თურქეთი)
გვარდიოლა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მიჩილო (კოზენცა)
სერენი (იფსვიჩი, ინგლისი)
სერიჩი (ვერონა)

ემპოლი

მოვიდნენ
აგოსტინი (სიენა)
ფოჯა (ტრევიზო)
გასპარეტო (პრატო)
მირი (კატანია)
რაზაკი (სენტ ეტიენი, საფრანგეთი)

წავიდნენ
ალეგრეტი (კომო)
ატკორი (პალერმო)
ბორიელო (მილანი)
კაპელინი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
გრიეკო (პარმა)
ვანუკი (პალერმო)

ინტერი

მოვიდნენ
ბრნჩიჩი (ვენეცია)
ჰელვეგი (მილანი)
კარაგუნისი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი)
ლომბარდი (ანკონა)
ლუსიანო (კიევო)
პერალტა (რასინგი, არგენტინა)
რობიატი (ანკონა)
სკარპი (ანკონა)
ლამუში (პარმა)

წავიდნენ
ბატისტუტა (ალ არაბი, ყატარი)
სემიოლი (კიევო)
სერენა (კომო)
ვივასი (კოხტრაქტი დაუმთავრდა)
მორფეო (პარმა)
დავალა უმითი (ვერდერი, გერმანია)

იუვენტუსი

მოვიდნენ
ატირსონი (ფლამენგო)
კამორანეზი (ვერონა)
კარინი (სტანდარდი, ბელგია)
ფრარა (ბოლონია)
გუზმანი (ტერნანა)
ლეგროტალიე (კიევო)
მიკოლი (პერუჯა)
მორეტი (მოდენა)
რიგონი (ტრიესტინა)
მ. ვიერი (ვერონა)
ძანკი (ბოლონია)
აპია (პარმა)
მარესკა (პიაჩენცა)

წავიდნენ
არონიკა (მესინა)
ბონეფოი (მესინა)
გასტალდელო (კიევო)
ჯენტილე (მესინა)
ლავეკია (მესინა)
პარო (კიევო)
სკული (კიევო)
ძამბონი (ნაპოლი)
კ. ძენონი (სამპდორია)
ბლაზი (პარმა)
მორეტი (პარმა)
მ. ვიერი (ნაპოლი)
გასბარონი (პალერმო)

კიევო

მოვიდნენ
ბრუნო (ასკოლი)
დანჯელო (ნაპოლი)
გასტალდელო (იუვენტუსი)
ლონგო (კალიარი)
მარაცინა (რომა)
პარო (იუვენტუსი)
სკული (იუვენტუსი)
სემიოლი (ინტერი)
ვერონეზე (ვიჩენცა)
ძენკეტა (ვიჩენცა)
ამაური (მესინა)
მალაგო (ჯენოა)
სამარკო (მილანი)

წავიდნენ
ამბროზიო (ჩელსი, ინგლისი)
დ. ანდერსონი (პალერმო)
ბირჰოფი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ბიელანოვიჩი (კომო)
დელა მორტე (ვიჩენცა)
ჯანელო (სიენა)
გრასადონია (კალიარი)
ლეგროტალიე (იუვენტუსი)
ლუსიანო (ინტერი)
რისპი (გიოტებორგი, შვედეთი)
ლუპატელი (რომა)
დ. კამარა (მოდენა)

ლაციო

მოვიდნენ
ბარონიო (პერუჯა)
ინოჩენტი (ბარი)
კ. მანფრედინი (ოსასუნა, ესპანეთი)
მენდიეტა (ბარსელონა, ესპანეთი)

წავიდნენ
კონჩეტი (პერუჯა)
ლაზეტიჩი (კომო)
მარკეჯანი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

ლეჩე

მოვიდნენ
აბრუცეზე (ფ. ანდრია)
ბილი (ბასტია, საფრანგეთი)
ბუდელი (მილანი)
კორალო (ტარანტო)
ფრეცოლინი (ვენეცია)
მორელო (ფ. ანდრია)
ნობილე (პოჯიბონზი)
პელიკორი (ვარეზე)
სავინო (ნაპოლი)
ტესტა (გუბიო)
ვინკლაარი (სორა)

წავიდნენ
კამორანი (სალერნიტანა)
დი ვიჩინო (სალერნიტანა)
ლასპალი (ნანტი, საფრანგეთი)
ლეო (ვიტერბეზე)
ნუცაჩი (ფ. ანდრია)
პოლეკსიჩი (სუტიესკა, სერბეთი)
მ. როსი (პალერმო)

მილანი

მოვიდნენ
ალიუ (სიენა)
ბაუ (ტრიესტინა)
ბორიელო (ემპოლი)
კაფუ (რომა)
ალბერტინი (ატლეტიკო, ესპანეთი)
კოლონინი (ატლეტიკო, ესპანეთი)
გრაფიედი (ანკონა)
ხოსე მარი (ატლეტიკო, ესპანეთი)
რ. მასარო (პარმა)
პორკარი (პარმა)
რაბიტო (სამპდორია)
სარი (ანკონა)

წავიდნენ
ანტონინი (სამპდორია)
ბა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ბუდელი (ლეჩე)
შამოტი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
დომიცი (სამპდორია)
დონადელი (პარმა)
დონატი (სამპდორია)
ფავარო (პარმა)
ჰელვეგი (ინტერი)
სტეფანი (პარმა)
ლეონარდო (კონტრაქტი დაუმთავრდა)
სამარკო (კიევო)

მოდენა

მოვიდნენ
ტალდო (კომო)
დ. კამარა (კიევო)

წავიდნენ
ჯ. კოლუჩი (ვერონა)
ფერარი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მორეტი (იუვენტუსი)
კალია (კონტრაქტი დაუმთავრდა)

პარმა

მოვიდნენ
ამაური (მესინა)
აპია (ბრეშა)
ბოლანო (სამპდორია)
ბონაცოლი (რეჯინა)
დონადელი (მილანი)
ფალზინი (რეჯინა)
ფავარო (მილანი)
გრიეკო (ემპოლი)
მაჯო (ვიჩენცა)
მარკიონი (პიაჩენცა)
მილოშევიჩი (ესპანიოლი, ესპანეთი)
პოჯი (ვენეცია)
სივილია (ატალანტა)
სტეფანი (მილანი)
ტარანა (ანკონა)
მორეტი (იუვენტუსი)
ბლაზი (იუვენტუსი)
მორფეო (ინტერი)

წავიდნენ
ბასო (პრატო)
დიანა (სამპდორია)
ე. ფილიპინი (ბრეშა)
რ. მასარო (მილანი)
მატუზალემი (ბრეშა)
პიერინი (რეჯინა)
პორკარი (მილანი)
ტაფარელი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ვიტიელო (ვიჩენცა)
აპია (იუვენტუსი)
ლამუში (ინტერი)

პერუჯა

მოვიდნენ
კონჩეტი (ლაციო)
დო პრადო (კატანია)
ფილიპი (სამბენედეტეზე)
გატი (კატანია)
ჯედაფი (ალ იტიჰადი, საუდეთი)
ინოფო (აველინო)
მონაკო (კატანია)
პარიზი (რასინგი, არგენტინა)
ტერა (სორა)
დიამუტენე (ლუკეზე)

წავიდნენ
ბარონიო (ლაციო)
ბლაზი (იუვენტუსი)
კარაჩოლო (ბრეშა)
მიკოლი (იუვენტუსი)
მილანეზე (კონტრაქტი დაუმთავრდა)
რეზაეი (ზობ ჰანი, მაროკო)
სოლიანო (ნაპოლი)
ვიალი (ვენეცია)

რეჯინა

მოვიდნენ
დელ აკუა (ჩიტადელა)
ჰოტეკი (სლავია, ჩეხეთი)
პიერინი (პარმა)
ტედესკო (კოზენცა)
ძოპეტი (სალერნიტანა)

წავიდნენ
ბონაცოლი (პარმა)
კარდინალე (სალერნიტანა)
დი მიკელე (უდინეზე)
ფალზინი (პარმა)

მანუელე ბლაზი „იუვენტუსმა“ „პერუჯადან“ დაიბრუნა და „პარმას“ დაუთმო

რომა

მოვიდნენ
დაკური (ლიდსი, ინგლისი)
ლანძარო (კოზენცა)
მანჩინი (ატლ. მინეირო, ბრაზილია)
პეპე (ტერამო)
დაგოსტინო (ბარი)
ლუპატელი (კიევო)
რანალი (კალიარი)

წავიდნენ
ალდაირი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ფუზერი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
კაფუ (მილანი)
მარაცინა (კიევო)

სამპდორია

მოვიდნენ
ანტონინი (მილანი)
დიანა (პარმა)
დომიცი (მილანი)
დონატი (მილანი)
დონი (ატალანტა)
იაკოპინო (კატანია)
ჟობ-ინიოკი (კრემონეზე)
მეკონგო-ონდოე (კრემონეზე)
პოსანციინი (კატანია)
იანაგისავა (კაშიმა, იაპონია)
კ. ძენონი (იუვენტუსი)
ფალკონე (ბოლონია)

წავიდნენ
ბოლანო (პარმა)
კაზაცა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
გასბარონი (პალერმო)
მიკელი (პიაჩენცა)
პაგანინი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
პინატო (კონტრაქტი დაუმთავრდა)
რაბიტო (მილანი)
კუჩიარი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

სიენა

მოვიდნენ
დელი კარი (ტორინო)
ჯანელო (კიევო)
ვორია (აველინო)
დავერსა (ტერნანა)

წავიდნენ
აგოსტინი (ემპოლი)
ალიუ (მილანი)
ფორტინი (ტრევიზო)
მანდელი (ტორინო)
მარტინელი (ტორინო)
პინგა (ტორინო)
სკალცო (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ტალიალატელა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ტირიბოკი (ტორინო)

უდინეზე

მოვიდნენ
ბედინი (კოზენცა)
დი მიკელე (რეჯინა)
გარგო (ვენეცია)
გუტიერესი (მესინა)
გ. მარტინესი (ნაპოლი)
მიკოლუჩი (პესკარა)
მუსლიმოვიჩი (ასკოლი)
ნალიცისი (აეკ, საბერძნეთი)
პაზენცა (ფოჯა)
სოზა (ხიმნასია, არგენტინა)

წავიდნენ
ბონაიუტი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

სარგებელი: კროკო

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შვედეთი. XII ტური						
		2 ივლისი						
22.00	002	სუნდსვალი-იოსტერი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
22.00	003	იორგრიტე-ჰალმსტადი	2,15	3,2	3,2	1,28	1,28	1,6
		ფინეთი. XI ტური						
		2 ივლისი						
20.30	010	ალიანსი-ჰაამეენლინა	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
		3 ივლისი						
20.30	011	ჰაკა-კუოპიო	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
	012	ჰაკა-კუოპიო 0:1	1,75	3,2	3,0			
20.30	013	იარო-ინტერი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
20.30	014	იოკერიტი-ლაპტი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
20.30	015	ტერკუტამპერე	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
20.30	016	ჯაზი-კტპ	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
21.00	017	მიუპა-პიკ	2,35	3,2	2,8	1,35	1,27	1,49
		ლიბერტადორესის თასი. ფინალი. II მატჩი						
		2 ივლისი						
05.40	018	სანტოსი-ბოკა ხუნიორსი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
		ამხანაგური მატჩები						
		2 ივლისი						
24.00	035	გვატემალა-პერუ(ნეიტრ.)	3,5	3,2	2,0	1,67	1,27	1,23
24.00	036	სალვადორი-პარაგვაი(ნეიტრ.)	5,3	3,5	1,6	2,1	1,22	1,09
		3 ივლისი						
04.00	037	ტრინიდადი-ვენესუელა	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
		5 ივლისი						
03.05	038	ეკვადორი-ნიგერია	2,6	3,1	2,5	1,41	1,27	1,38

სარგებელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10 — კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი — №2 ცენტრალური ფოსტამტი
	გლდანი — I სავაჭრო ცენტრი
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46 — მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 — ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50 — მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11
	ჭავჭავაძის გამზირი № 41
	გამსახურდიას გამზირი № 3
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13 — დიდი დილომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4
	დილომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48
	მელიქიშვილის ქუჩა №15
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16 — ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა№ 27
	ჭავჭავაძის № 67 — ცენტრალური ავტოსადგური
გორი	ცხინვალის გზატკეცილი №11 — წმინდაწყლის დასახლება
	სტალინის ქუჩა №14
თელავი	კოსტავას ქუჩა №23
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7
ზუგდიდი	მემედ აბაშიძის ქუჩა №21 — ყოფილი სტალინის ქუჩა
	ერას ქუჩა №66 — ყოფილი გორკის ქუჩა
	ჯავახიშვილის ქუჩა №78
	ჭავჭავაძის ქუჩა № 113
	აღმაშენებლის ქუჩა № 21 — (სავაჭრო ცენტრი ალამი 1)
	ჭავჭავაძის ქუჩა № 13
ხელვაჩაური	აღმაშენებლის ქუჩა № 50
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39
ოზურგეთი	გურიის ქუჩა №23
ბურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28
ფოთი	რკალი, რუსთაველის №18
საბარეჯო	დავით აღმაშენებლის №30
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16
წნორი	სტალინის ქუჩა №1
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7
ქობულეთი	სასტუმრო „ივერიის“ მიმდებარე ტერიტორია
სარფი	საბაჟო პუნქტის პირდაპირ

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

ქართველები სამოთხეში

ცქიტიშვილმა მწვრთნელობა დაიწყო

ნიკა ცქიტიშვილმა ტრევიზო გაიხსენა

ორი წლის წინ, როცა ნიკა ცქიტიშვილს თითქმის არავინ იცნობდა, ევროპაში განთქმულ ტრევიზოს კემპს მიაშურა სავარჯიშოდ. კალათბურთის მართლა მცოდნეებმაც იქ ნახეს პირველად ნიჭიერი ქართველი თინეიჯერი, რომელიც მალე „ბენეტონში", იქიდან კი „დენვერში" აღმოჩნდა. ცქიტიშვილი ახლაც ტრევიზოშია, კემპზე, ოღონდ დრაფტის მე-5 რჩეულს ახლა უკვე მთელი ევროპა იცნობს და ვარჯიშებზეც იმიტომ მიიწვიეს, რომ გამოცდილება გაუზიაროს ახალგაზრდებს. ნიკასთან ერთად ტრევიზოულ კემპზე პაუ გასოლი, მარკო იარიჩი, ტონი პარკერი, ანდრეი კირილენკო და ბოსტიან ნახბარიც არიან მიწვეულნი, რომლებიც ერთმანეთს მწვრთნელობაში ეჯიბრებიან. ამათ შეგირდთა შორის არიან ბენეტონელი მანუჩარ მარკოიშვილი და ოლიმპიაკოსელი გიორგი მამაცაშვილი, ჩვენ კი ნიკა ცქიტიშვილს მოვუსმინოთ, რომელიც ტრევიზოს კემპის გარდა ახლახან ნადრაფტალ ზაზა ფაჩულიას ნბა-ურ პერსპექტივაზეც გვესაუბრება

— ტრევიზოში ჩამოსვლას ისედაც ვაპირებდი, დასასვენებლად დამპატიჟა „ბენეტონის" მენეჯერმა მაურისიო ჯერარდინიმ. სწორედ ეს კაცია ამ კემპის ორგანიზატორი და ტრევიზონში რომ ჩავედი, შენც იმწვრთნელეო, მთხოვა. უარი ვერ ვუთხარი, მთელი ღღე მოედანზე ვარ, ბავშვებთან.

— კონკრეტულად რა გეკალება?

— რა ვიცი, ყველაფერი. მწვრთნელიც ვარ, საკალათბურთო ეთიკის მასწავლებელიც, ინტერვიუებსაც ვაძლევ მსურველებს, ხურათებს ვიღებ ბავშვებთან. ჩემნაირი „მწვრთნელი" აქ კიდევ ხუთია, კირილენკო, პარკერი, გასოლი, იარიჩი და ნახბარი. ყველას კონკრეტული საქმე გვაქვს, ზოგი რას ვასწავლით პატარებს და ზოგიც — რას. მე მაგალითად, ფარის მისადგომებთან როგორ უნდა მოიქცნენ, იმაში ვავარჯიშებ ბავშვებს, ანუ ცალი სამქულიანების სროლას ასწავლის, ნახბარი — დრიბლინგს და ასე შემდეგ. ბოლოს კი მატჩებია, მონაწილენი ოთხ გუნდად არიან გაყოფილნი.

— ბავშვებია, შეგირდებზე თქვი, შენზე არცთუ ბევრით უმცროსი მანუჩარ მარკოიშვილიც ამ კემპის მონაწილე არ არის?

— სამწუხაროდ, მარკოიშვილი ჩემს გუნდში არ მოხვდა, არც გიორგი მამაცაშვილი ისე, 14-15-ის წლისანი ბავშვები არ არიან?

— როგორი მწვრთნელი გამოდექი?

— მგონი კარგი. ჩემი და პაუ გასოლის გუნდი ჩემპიონი გახდა, ოთხიდან ოთხივე მატჩი მოვიგეთ. მარკოიშვილი კირილენკოს გუნდში თამაშობდა, მამაცაშვილი — იარიჩთან.

— წუთმესვენებას შენ იღებდი თუ გასოლი?

— ხან მე, ხან ის. მთავარ მწვრთნელობაზე არც ერთს გვქონდა პრეტენზია, ყველაფერს ხალისით ვაკეთებდით.

— ნბა-ს ამ ბიჭებს დაუახლოვდებოდი...

— ყველასთან ახლოს ვიყავი, მხოლოდ პაუ გასოლს არ ვიცნობდი და სწორედ მასთან ერთად მომიწია გუნდის გაძღოლა. ძალიან კარგი ბიჭია, ბოლოს, და ბოლოს ესპანელია, ჩვენსავით სამხრეთელი.

— ტრევიზოელები როგორ დაგხვდნენ, მათი „ბენეტონიდან" არ წახვედი ნბა-ში?

— ორი წლის წინ, როცა ნიკა ცქიტიშვილს თითქმის არავინ იცნობდა, ევროპაში განთქმულ ტრევიზოს კემპს მიაშურა სავარჯიშოდ. კალათბურთის მართლა მცოდნეებმაც იქ ნახეს პირველად ნიჭიერი ქართველი თინეიჯერი, რომელიც მალე „ბენეტონში", იქიდან კი „დენვერში" აღმოჩნდა. ცქიტიშვილი ახლაც ტრევიზოშია, კემპზე, ოღონდ დრაფტის მე-5 რჩეულს ახლა უკვე მთელი ევროპა იცნობს და ვარჯიშებზეც იმიტომ მიიწვიეს, რომ გამოცდილება გაუზიაროს ახალგაზრდებს. ნიკასთან ერთად ტრევიზოულ კემპზე პაუ გასოლი, მარკო იარიჩი, ტონი პარკერი, ანდრეი კირილენკო და ბოსტიან ნახბარიც არიან მიწვეულნი, რომლებიც ერთმანეთს მწვრთნელობაში ეჯიბრებიან. ამათ შეგირდთა შორის არიან ბენეტონელი მანუჩარ მარკოიშვილი და ოლიმპიაკოსელი გიორგი მამაცაშვილი, ჩვენ კი ნიკა ცქიტიშვილს მოვუსმინოთ, რომელიც ტრევიზოს კემპის გარდა ახლახან ნადრაფტალ ზაზა ფაჩულიას ნბა-ურ პერსპექტივაზეც გვესაუბრება

— ძალიან თბილად მიმიღეს, დიდ პატივში ვყავართ. მითხრეს, „ბენეტონის" კარი შენთვის მუდამ ღიაა, როცა გინდა, ჩამოდი და გინდ დაისვენე, გინდაც ივარჯიშეო.

— ისე, კარგ გარემოში ხარ მანდ, ირგვლივ ქართველები გყავს.

— ჰო, მგონია, საქართველოში ვარ. მანუჩარ მარკოიშვილი, მისი ძმა გიორგი, გიორგი მამაცაშვილი და ჩემი პირველი მწვრთნელი ვაჟა კვარაცხელია აქ არიან. მთელი ღღე ერთად ვართ, საღამოობით ქალაქში ვსეირნობთ. ვაჟა მასწავლებელი ახლაც ჩემს გვერდზეა, თუ გინდა, დაელაპარაკე...

— ბატონო ვაჟა, ტრევიზოში ალბათ ნიკა ცქიტიშვილის სანახავად ჩახვედით...

— ნიკა თითქმის ორი წელია, არ მენახა და რომ გავიგე, ტრევეზოში ჩამოდიოდა, ძალიან მოვინდომე და ჩამოვედი კიდეც. თან ამ კემპზე კიდევ ერთი ჩემი აღზრდილი, გიორგი მამაცაშვილი მონაწილეობს... აქ პატარა საკალათბურთო სამოთხეა. აქეთ გაიხედავ, გასოლი დააბიჯებს, იქით წახვალ, პარკერს შეხვდები. სხვათა შორის, ნიკას ისეთივე დიდ ყურადღებას აქცევენ, როგორც აქ ჩამოსულ დასარჩენ ნბა-ელებს. დიდი მოწონება დაიმსახურეს მარკოიშვილმა და მამაცაშვილმა, უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ევროპამ ქართველები გაიცნო როგორც ძალიან პერსპექტიულები.

ვაჟა კვარაცხელიამ ისევ „ცქიტოს" გადაეწოდა ყურმილი და ნიკასთან ინტერვიუც გაგრძელდა.

— საქართველოში არ ჩამოხვალ ნაკრების შეკრებაზე?

— ვერა, 6 ივლისს „დენვერი" იკრიბება და გუნდში უნდა ვიყო. საზაფხულო ლიგებისთვის ვიწყებთ მზადებას, მალე სოლტ ლეიკ სიტიში იწყება კემპი.

— ორლანდოშიც ხომ არ ჩახვალთ? 8 ივლისს იქ მეტად წარმომადგენლობითი ლიგა იწყება, წლევანდელი დრაფტის მოწინავენი შეიკრიბებიან...

— მე კი ძალიან მინდა ორლანდოში ჩასვლა და ზაზა ფაჩულიას ნახვა, მაგრამ, სამწუხარო, „დენვერის" გეგმებში არ შედის ორლანდოს კემპში მონაწილეობა. სოლტ ლეიკ სიტიდან ლოს ანჯელესში მივდივართ.

— როგორც სადრაფტო გამოცდილების მქონე, როგორ შეაფასებ ფაჩულიას 42-ე ნომრად არჩევას?

— დრაფტში ბევრი რამაა გამართლებაზე დამოკიდებული, მაგრამ ერთიცაა, გააჩნია, გამართლებას რას დავარქმევთ, ზაზა რომ 42-ე ნომრად აირჩიეს, ეს იმედგაცრუებაა, ხოლო „ორლანდოში" მოხვედრა როგორი იქნება მისთვის, მალე გამოჩნდება. ისე, ფაჩულია არ იმსახურებდა ასე დაბალ ნომრად არჩევას, მისი ადგილი, ჩემი აზრით, 15-დან 25-მდე იყო.

— შარშანდელ დრაფტზეს მე-5 ნომრად აგირჩიეს და კონტრაქტის გაფორმების პრობლემა არ გქონია, შენი აზრით, ზაზას საქმე როგორ იქნება?

— ყველაფერი მასზეა დამოკიდებული, თუ ნახეს, რომ შემძლეა, პრობლემას არ შეუქმნიან. თუნდაც ჩემი თანაგუნდელი ვინსენტ იარბრო ავიღოთ, „დენვერმა" ის შარშან 33-ე ნომრად აირჩია, მაგრამ კონტრაქტი გაუფორმა, ოღონდ მხოლოდ ერთწლიანი. როგორც გავიგე, თუ ორლანდოელებმა გადაწყვიტეს, ზაზას ალბათ ორწლიანს გაუფორმებენ.

— შენ ასე თუ ისე იცი ზაზას თამაში. მისი სტილის კალათბურთელებს როგორი შანსი აქვთ ნბა-ში?

— ზაზას კოზირი ისაა, რომ საშუალო მანძილიდან კარგად ესვრის და ბურთის ტარებაც შეუძლია. ვფიქრობ, ფაჩულიას არ უნდა გაუჭირდეს ნბა-ში თამაში. თუ ფარქვეშ თამაშისას მეტ აგრესიას გამოიჩენს, არავითარი პრობლემა არ შეექმნება. ზაზა ღღეს ნბა-ში მოთამაშე არაერთ ცენტრს სჯობს.

ირაკლი პერტაია



მანუჩარ მარკოიშვილი


დრაკენ ბრაიკოვიჩი

ახალი არაფერი

დინამოს

ძველმანი მისცეს

ორიოდ კვირის წინ საქართველოს ნაკრები რომ იკრიბებოდა, მის თავკაც დრაკენ ბრაიკოვიჩს მივაკითხეთ, თუმც ხორვატმა, ნაკრებზე მერე იყოსო და თბილისის „დინამოს" მწვრთნელის რანგში გველაპარაკა. მაშინ ბრაიკოვიჩმა ზარ-ზეიმით გვამცნო, „დინამოს" ისეთი საქმე გავუჩარხე, ჩვენმა მეპატრონე ბადრი პატარკაციშვილმა თუ დასტური მოგვცა, თბილისს დიდი კალათბურთი ეწვევაო. ბრაიკოვიჩმა, ჩემპიონთა ლიგაში დინამოელთა მონაწილეობა თითქმის გადაწყვეტილიაო, მოგვახარა და... ფიბა-ევროპის მიერ გუშინწინ გამოქვეყნებულ ჩემპიონთა ლიგის მონაწილეთა სიაში თბილისის „დინამო" არ იყო.

ის კი არა, „დინამო" რანგით უფრო დაბალ, ფიბა-ევროპის თასის მონაწილეთა შორისაც არ მოიხსენიებოდა. ისე გამოვიდა, საქართველოს ჩემპიონს ფიბა-ევროპამ არც ერთ თავის ტურნირში არ შეადგმევინა ფეხი. არადა, ჩვენს ფედერაციას „დინამოს" სამონაწილეო განაცხადი დროულად ჰქონდა ფიბას შტაბბინაში გაგზავნილი. ჩემპიონთა ლიგას ვინ ჩივის, ფიბამ ფულ და ამბიციამოძალებული „დინამო" მთლად უევროპოდ დატოვა.

საქმეში გასარკვევად კალათბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან მერაბ რატიშვილს დავუკავშირდით: „ფიბა-ევროპამ უარი უთხრა დინამოელებს ჩემპიონთა ლიგაში თამაშზე, სამწუხაროდ, ჩვენი ჩემპიონი იმ რვა გუნდში არ აღმოჩნდა, „უაილდ ქარდით" რომ დაუშვეს ტურნირზე. რაც შეეხება იმას, რომ „დინამო" ფიბა-ევროპის თასზე მონაწილეთა სიაშიც არ აღმოჩნდა, ეს შემთხვევის ბრალია. დღეს ფიბა-ევროპის ერთ-ერთ ხელმძღვანელს ვესაუბრე, რომელმაც მოგვიბოდიშა, შევცდით, „დინამო" აუცილებლად ითამაშებს ჩვენს თასზეო".

ითამაშებს თუ არა „დინამო" ფიბა-ევროპის თასზე, ეს უკვე ნაკლებმნიშვნელოვანია, რადგან ამ უდაბლესი დონის ტურნირზე დინამოელები შარშანაც მონაწილეობდნენ, როცა მას „ჩელენჯ ქაფი" ერქვა. საქმე ის იქნებოდა, ბრაიკოვიჩის სიტყვა გამართლებულიყო და ჩემპიონთა ლიგა დაგვეჭაშნიკებინა, თუმც ევროლიგასთან შედარებით არც ეს ტურნირია დიდი ბედენა.

გუშინ საღამოს ფიბას საიტზე თბილისის „დინამოც" დაიწერა, ცხადია, ფიბა-ევროპის თასის მონაწილეთა გასწვრივ...

ირაკლი პერტაია

შუმახერს არაფერი შეშლია
მისი 1000 ქულა 1000 პროცენტიანია

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ მიხაელ შუმახერის „საქმე“ ჩაწყნარდა, რადგან მის მშველელთა ქმედება საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (FIA) წეს-კანონებს არ ეწინააღმდეგებოდა.

შეგახსენებთ, კვირას „ნიურბურგრინგზე“ ევროპის საფორმულო დიდი პრიზისთვის რბოლისას მიხაელის „ფერარისა“ და ხუან-პაბლო მონტოიას „უილიამსის“ მცირე შეჯახების შედეგად ჩემპიონის ბოლიდი ტრასიდან სანახევროდ გადასრიალდა და მოხრეშილ ზონაში გაიჭედა. წინა ორი ბორბალი ასფალტზე დარჩა, თანაც რაკი ძრავა არ ჩამქრალა, შუმიმ სტიუარდებს ხელების ქნევით ანიშნა, მომეხმარეთო. ისინიც, ოთხი ჯანიანი ჯენელი, მიცვივდნენ და მანქანა მიწოლით ტრასაზე დააბრუნეს, მიხაელმაც მშვიდობიანად გაგრძელა გზა. სწორედ ამ მიწოლის მიზეზით ატყდა ვაი-უშველებელი, აქაოდა, დახმარების გამო შუმახერის შედეგი (მეხუთე ადგილი) უნდა გაუქმდესო. მომხდარს FIA-ს მხრიდან არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია. გამოდის, სტიუარდებს წესი არ დაურღვევიათ.

მართლაც, ფორმულა 1-ის სპორტული რეგლამენტის 150-ე პუნქტის თანახმად, თუ ბოლიდი გაჩერდა ტრეკის საშიშ ადგილზე, ის უსწრაფესად უნდა იქნეს ევაკუირებული, რათა რბოლის სხვა მონაწილეებს საფრთხე არ შეექმნათ. თუკი ძრავა არ ჩამქრალა, თანაც მანქანის ევაკუაცია უფრო მეტ დროს წაიღებს, ვიდრე მისი ტრასაზე გადაგორება, სტიუარდები ვალდებულნი არიან, მძღოლს დახმარება გაუწიონ რბოლაში დასაბრუნებლად. პილოტის შედეგი უნდა გაუქმდეს იმ შემთხვევაში, თუ ძრავის დასაქოქად გარეშე დახმარება იქნება გამოყენებული.

ერთი სიტყვით, ყველაფერი რიგზეა, სტიუარდები ინსტრუქციის შესაბამისად მოქმედებდნენ და მიხაელმაც, ფინიშის შემდეგ, „თავის ოთხეულს“ მადლობა გადაუხადა, თქვენ რომ არა, იმ ოთხ ქულასაც ვერ ველირსებოდიო.



ეს-ესაა, სტიუარდებმა მიხაელ შუმახერის „ფერარი“ ტრასაზე დააბრუნეს

სწორედ იმ სამეხუთეადგილო ოთხი ქულით დაძლია შუმახერმა ფენომენალური ზღვარი და 13-წლიან ფანტასტიკურ კარიერაში უკვე 1003 ქულა დაუგროვდა.

პრიშნამ ჰარიკრიშნა დაიკვიწყა
ძაგნიძის ნახევარი მთელის ტოლია

ნახჭევანში მიმდინარე მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ქალთა შორის 7,5 ქულით ჩვენებური ნანა ძაგნიძე კვლავ ერთპიროვნულად ლიდერობს.

მერვე ტურში ნანამ პირველად დაკარგა ნახევარი ქულა რუს მოჭადრაკე ეკატერინა იუბილენკოთან, თუმც ამით ბევრი არაფერი დაჰკლებია, რადგან მისმა უშუალო კონკურენტმა ინდოელმა ჰაკირა დრონავალმაც ყაიმით დაასრულა თავისი პარტია. დრონავალი ნანას 1,5 ქულით ჩამორჩება და შესაბამისად მათ შორის სხვაობა უცვლელი დარჩა.

ნანა ჩემპიონატის დაწყებამდე ტურნირის მთავარი ფავორიტი და რეიტინგითაც პირველი ნომერი იყო. ფავორიტი ამართლებს, ძაგნიძემ ისე შორს ჩამოიტოვა მეტოქეები, რომ მდევრები სასწაულის იმედად დატოვა.

„ქართული დერბი“ შედგა ვაჟთა ჩემპიონატის მეათე ტურში — ერთმანეთს შეხვდნენ ლევან ფანცულაია და ზვიად იზორია.

ლევანმა პარტია დედოფლის გამბიტით დაიწყო და თამაში სიცილიური დაცვის ხაზით გაგრძელა. იზორიამ კი თავიდანვე მეფის ფლანგის გამაგრების თადარიგი დაიჭირა და საკუთარი ციტადელის წინ კუ და მხედარი გამოიყვანა. ფანცულაიამ შეატყო, რომ მარჯვენა ფლანგზე შეტევა დიდ დანაკარგს მოუტანდა და მეტოქის დაცვაზე იერიში დედოფლის ფლანგიდან მიიტანა. ამ შეტევის მოგერიებისას ზვიადმა რამდენიმე შეცდომა დაუშვა და ლევანი ორი პაიკით დაწინაურდა. იზორიამ დანაკარგის დასაბრუნებლად მარცხენა ფლანგზე ფიგურების საბრძოლო მობილიზაცია გამოაცხადა. შესაბამისად მარჯვენა ფლანგის გაძლიერება ლევანმაც დაიწყო და მეტოქეს იერიში დაასწრო კიდეც. რის შედეგადაც ზვიადი იძულებული გახდა, თავისი ფიგურები უკან დაეხია. უკან დახეულ მეტოქეზე ფანცულაიამ შეტევა გაგრძელა და ახლა ის შეცდა — საკუთარი მხედარი მეტოქის ტერიტორიაზე საკმაოდ ღრმად „შეაჭენა“. ზვიადმა ამით ისარგებლა და გაცვლები განახორციელა, რის შედეგადაც დაკარგული ხარისხი გაათანაბრა და პაიკითაც დაწინაურდა. იზორიამ ამ უპირატესობის მოპოვების შემდეგ რამდენიმე სვლის წინ შეჩერებული შეტევა გაგრძელა, თუმც 28-ე სვლაზე მეტოქეებმა ლაზიერები გაცვალეს, რის შემდეგაც სრულ სათამაშო უპირატესობას ლევანი დაეუფლა და ხუთიოდე სვლაში გამარჯვებაც მოიპოვა.

ამ მოგებით ფანცულაიამ 6,5 ქულა დააგროვა და მეექვსე ადგილამდე აინაცვლა, იზორია კი 5,5 ქულით 18-ეზე დაეშვა.

რაც შეეხება მესამე ქართველ ვაჟს, გიგა ყუფარაძეს, იგი მეათე ტურში ორმოცდათექვსმეტსვლიან პარტიაში ინდოელ გოგინენ როჰიტთან დამარცხდა და ვერაფერი მიამატა წინა ტურებში მონაგრებულ ხუთქულიან აქტივს, შედეგად იგი 21-ე ადგილზე ჩამოქვეითდა.

მეათე ტურის შემდეგ ვაჟებში რვა ქულით ერთპიროვნული ლიდერია აზერბაიჯანელი შაჰრიარუ მამედიაროვი. ამ ტურში მამედიაროვმა დაძაბულ ბრძოლაში ინდოელი ვიშვანათან ანანდის თანამემამულე და მის მემკვიდრედ შერაცხული პენტალა ჰარიკრიშნა დაამარცხა და ლიდერობაც ასე შეინარჩუნა. მეორე ადგილზე 7,5 ქულით ბელარუსი ყმაწვილი სერგეი აზაროვია, რომელმაც ეს პოზიცია მეორე ინდუსის, სურია შეკარი განგულის ძლევით შეინარჩუნა.

ნანა ძაგნიძე

ლაზა გეგეჭკორი

სიახლე საქართველოში!

35 000 ნახატი, ნომრები სპორტულ მაისურებზე,
წარწერები, აირჩიეთ და დაიხატეთ თქვენს და ჩვენს სამოსზე
გთავაზობთ უცხოური წარმოების სხვადასხვა მოდელის,
ფერის და ზომის მაისურებს მრავალნაირი აპლიკაციით,
საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91 ტელ: 53-76-82 899 56-18-49

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზე ყველაზე დიდი მოულოდნელობა ელდარ ყურტანიძის პრიზიორთა შორის ვერმოხვედრა იყო. მსოფლიოს ჩემპიონი მეოთხედფინალში ვლადიკავკაზელ გაცალოვთან დამარცხდა. ყველაზე სამწუხარო ის იყო, რომ ეს ოსი მოჭიდავე ჩემპიონატზე გარემოებათა გამო მოხვდა და თან ელდარზე 12 ქილოთი მჩატეა. რიგიდან დაბრუნებული ყურტანიძე ჟურნალისტებთან ყოველგვარ ურთიერთობაზე უარს ამბობდა, დამარცხებულმა ხალხს რა ვუთხრა და როგორ ვეჩვენოო

მე დავბრუნდი!
ყურტანიძე მეტოქეებს რუსულად დაემუქრა



ელდარ ყურტანიძე

ლოდინი დიდხანს არ დაგვჭირდა. ევროპის ჩემპიონატის შემდეგ გამართულ პირველივე შეჯიბრში ელდარმა გაიმარჯვა. დაღესტანში შამილ ილუმხანოვის V საერთაშორისო ტურნირზე ყურტანიძემ ყველა მეტოქე აშკარა უპირატესობით დაამარცხა და დაჯილდოებისას რუსულად ყველას გასავონად თქვა: „იცოდეთ, მე დავბრუნდი!“

— ელდარ, მაინც რა მოხდა რიგაში?

— არ ვიყავი კარგად მომზადებული. გაცალოვთანაც ვერ განვეწყვე სათანადოდ. მიჩვეული ვარ, რომ მეტოქეები ჩემზე მაღლები არიან, ის კი დაბალი იყო, თან მჩატეც. თავიდან დავწინაურდი და ალბათ მოვეშვი. ისე, არც მსაჯობა იყო ხეირიანი, მაგრამ მაინც არ უნდა დავმარცხებულიყავი.

— სამაგიეროდ, დაღესტანში იყარე ჯავრი.

— ყველა მივყარ-მოვყარე. თიგიევიც დავამარცხე. ის ჩემი ერთ-ერთი უმთავრესი მეტოქეა. თან გაცალოვი მის მაგივრად გამოდიოდა რიგაში.

— ქართული დელეგაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მარლენ ოსიყმაშვილმა გვითხრა, ელდარს განსაკუთრებით თბილად შეხვდნენ და პერსონალური მანქანაც გამოუყვესო.

— მანქანაც და დაცვაც, რომ არავის შევეწუხებინე. ასე თბილად ადრე უზბეკეთში შემხვდნენ. ამ ტურნირზე შარშანაც გავიმარჯვე. მაყურებელი მიცნობდა და თუ რუსეთის წარმომადგენელს არ ვეჭიდავებოდი, მე მიჭერდა მხარს.

— საზღვარგარეთ ასე გაფასებენ. ალბათ შემოგთავაზეს კიდეც სადმე დარჩენა და უკეთესი პირობები, ვიდრე დღევანდელ საქართველოშია...

— მე საქართველოში ცხოვრება მირჩევნია. ხელფასიც ნორმალური მაქვს და საპრიზოებსაც მიხდიან. შემიძლია ვთქვა, რომ ნორმალურ პირობებში ვცხოვრობ. ხალხის პატივისცემასაც ვგრძნობ. დაღესტანში გამარჯვების შემდეგ წინანდალში დამპატიჟეს, მსუქნიშვილებმა მიმასპინძლეს. უცხოეთში რაც უნდა თბილად შემხვდნენ, ჩვენებური, ქართული სითბო მაინც სულ სხვაა.

— ელდარ, ატლანტის და სიდნეის ოლიმპიადების პრიზიორი ხარ, მსოფლიოს ჩემპიონი. სამჯერ გაღიარეს წონაში საუკეთესოდ. შენს საჭიდაო კარიერას იღბლიანად თელი?

— რა თქმა უნდა, არა. აფხაზეთში ბევრი ტკივილი და დამცირება გადავიტანე, მამის სიკვდილი... ყველაფერი მოქმედებს. სიდნეიში ოლიმპიადაზე ნაღდად უნდა გამემარჯვა. მსოფლიოს ჩემპიონიც ერთხელ კი არა, სამჯერ მაინც უნდა გავმხდარიყავი. ჭიდაობა მარტო ძალა და ტექნიკა არ არის. ნერვებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. წელს ნიუ იორკში აუცილებლად მოვიგებ მსოფლიოს ჩემპიონატს და გაისად ოლიმპიადაზეც ყველანაირად შევეცდები გამარჯვებას.

ზოთა კოპალეიშვილი

კანადურ ვანკუვერს, ავსტრიულ ზალცბურგსა და სამხრეთკორეულ პიონჩანგს 2010 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობა სურთ. ვინ იქნება ამ სამეულიდან დიდი შეჯიბრების მასპინძელი, ამას დღეს პრაღაში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომი გადაწყვეტს

REUTERS პრაღიდან

ჰერმან მაიერი ზალცბურგის სახე და პირია

ვანკუვერი ზალცბურგი პიონჩანგი ?

სად გამოიზამთრებს ოლიმპიადა 2010 წელს?

პრაღის სასტუმრო „ჰილტონში" ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის 115-ე კონგრესი მიმდინარეობს და, როგორც საგენტო „როიტერი" იტყობინება, სასტუმროს ფოიეში ოლიმპიელ მახვშთა სიგარეტების ისეთი ბუღია, ცხვირთან ითის ვერ მიიტანს კაცი. ანუ კონგრესის წინ ფრიად დაძაბული ვითარებაა.

ახლა კი 2010 წლის ზამთრის ოლიმპიადის მოსურნე ქალაქების შანსებზეც ვთქვათ.

„როიტერის" გამოთვლით, ყველაზე მეტი შანსი ვანკუვერს აქვს, რომელსაც მკერდით ჩამორჩება ზალცბურგი. ასე რომ, წინასწარი პროგნოზით თეთრი ოლიმპიადა ალბათ უფრო კანადაში გაიმართება.

ამ საქმეში ძაღლის თავი 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძლობაშია ჩამარხული. საქმე ისაა, რომ 2012 წლის ოლიმპიადის მასპინძლობა სამ ევროპულ ბობოლა ქალაქს სურს. ესენი არიან პარიზი, ლონდონი და მოსკოვი. ჰოდა, სავსებით მოსალოდნელია, რომ დღეს ევროპელმა ოლიმპიელებმა ხმა სწორედ სხვა კონტინენტელ ვანკუვერს მისცენ, რადგან თუ ახლა ევროპულმა ზალცბურგმა გაიმარჯვა, მაშინ 2012 წლის ოლიმპიადის ევროპაში გამართვის ალბათობა მინიმუმამდე შემცირდება.

კანადური ქალაქი, რომელმაც ბოლოს ზამთრის ოლიმპიადას უმასპინძლა, იყო კალგარი. ეს კი 1988 წელს მოხდა. სხვათა შორის, ვანკუვერს შორეულ 1976 წელსაც სურდა ოლიმპიადის მასპინძლობა, მაგრამ მაშინ მას ავსტრიულმავე ინსბრუკმა აჯობა. ახლა კი კანადელები რევანშისთვის არიან განწყობილნი, მით უმეტეს, რომ წინასწარი გათვლით, საარჩევნო კომიტეტის 100 წევრიდან ვანკუვერის კანდიდატურას უმრავლესობა, დაახლოებით 64 წევრი უჭერს მხარს.

„ჩვენ ვიცით, რომ გამარჯვების დიდი შანსი გვაქვს და იმედია, გაწბილებული არ დავრჩებით. რაც ვანკუვერის კანდიდატურა წამოვაყენეთ, მას შემდეგ დიდძალი სამუშაოები ჩავატარეთ და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ვანკუვერი ასი პროცენტით მზადაა გრანდიოზული შეჯიბრის ჩასატარებლად" — თქვა „ვანკუვერი 2010"-ის საორგანიზაციო კომიტეტის პრესატაშემ სემ კორეამ.

ვანკუვერისა და ზალცბურგის ჭიდაობაში გაიჭყლიტა სამხრეთკორეული პიონჩანგი, თუმც შანსები მასაც აქვს და ამასთან ფრიად დამაინტრიგებელი.

სამხრეთკორეელები პირობას დებენ, რომ თუ პიონჩანგს თეთრ ოლიმპიადას აღირსებენ, ჩრდილოელ თვისტომებს დაუმმობილდებიან და საერთო ნაკრებით გამოვლენ. ერთი სიტყვით, აშკარაა პოლიტიკით პირდაპირი სპეკულაცია. გაჭრის თუ არა ეს ხერხი, ამას დღეს გავიგებთ.

კორეელები 100-კაციანი დელეგაციით ჩავიდნენ პრაღაში. მათ არმიას თვით ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გო კუნი სარდლობს. კუნი: „თუ 2010 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობას პიონჩანგს არგუნებენ, გპირდებით, რომ ეს იქნება ყველაზე სანახაობრივი და უმაღლეს დონეზე ორგანიზებული შეჯიბრი. თანაც ამით აზიაში ზამთრის სახეობები უფრო პოპულარული გახდება. გარდა ამისა, ჩვენ ჩრდილოეთ კორეასთან ერთად საერთო ნაკრებით გამოვალთ. ამის თაობაზე მათ უკვე მომცეს დასტური. ასე რომ, რაც ვერ შეძელით პოლიტიკოსებმა, ამას სპორტი გაკეთებს."



REUTERS პრაღიდან

უეინ გრეტკი ვანკუვერის ყოჩია

ბაჩო სვანიძე

გამარჯობა, ავღანეთი! როგორა ხარ, ერაყი?



ავღანელი სპორტსმენები ათენის ოლიმპიადაზე გამოჩნდებიან

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა კვლავ დაუშვა ოლიმპიურ ოჯახში ავღანეთი, რომელიც 1999 წელს მოკვეთა. ავღანელთა დისკვალიფიკაცია ამ ქვეყნის მაშინდელი მმართველობის, თალიბების მრწამსმა და გადაწყვეტილებამ გამოიწვია. თალიბებმა ავღან ქალებს აუკრძალეს არა მარტო საერთაშორისო შეჯიბრებებში გამოსვლა, არამედ ქვეყანაში საერთოდ დასასმარეს ქალთა სპორტი, რამაც აღაშფოთა სოკ-ი და ეს ამბავი ავღანეთის ოლიმპიური კომიტეტის მოკვეთით დასრულდა.

მოგეხსენებათ, ავღანეთმა გადაიგდო თალიბების უღელი და იქაური გოგო-ბიჭებსაც ხელფეხი გაეხსნათ. სოკ-იც ხელგაშლილი ხვდება მათ და აი, ტურნირ-ჩემპიონატებზე მონაწილეობის უფლებაც აღუდგინა. ამ დღეებში პრაღაში შეკრებილი სოკ-ის მოწყალე დიდმოხელენი იმედს გამოთქვამენ, რომ ავღანელი სპორტსმენები მოახერხებენ ათენის 2004 წლის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიების მოპოვებას, თუ ვერა და სოკ-ი რამდენიმე სპორტსმენს ე. წ. „ვაილდ ქარდით", ანუ საგანგებო მოწვევით მაინც დაუშვებს.

სოკ-ის აღმასკომი ოლიმპიურ ოჯახში ერაყის დაბრუნებასაც ეშურება. „ჩვენ აუცილებლად უნდა მოვიძიოთ და ვიპოვოთ სპორტსმენები ერაყში — ამბობს ოლიმპიური თამაშების აღმასრულებელი დირექტორი ჯილბერტ ფელი — უნდა დავეხმაროთ მათ, ვარჯიში განაახლონ. თუ მათი მომზადება შეუძლებელი იქნება ერაყში, ჩვენ ვალდებულებას ავიღებთ და მათ სხვა ქვეყანაში შევუქმნით ვარჯიშის პირობებს."

ჯერჯერობით გარკვეული არაა, სოკ-ი რამდენად მალე და უმტკივნეულოდ მიიღებს უკან ერაყის ოლიმპიურ კომიტეტს. ოლიმპიურ საზოგადოებას ჯერაც კარგად ახსოვს, რა ხდებოდა ერაყის ოლიმპიურ კომიტეტში, როდესაც მას განაგებდა სადამ ჰუსეინის სისხლისმსმელი ვაჟი უდაი ჰუსეინი. უდაი მხეცურად აწამებდა დამარცხებულ სპორტსმენებს და არაერთი მათგანი სიცოცხლისთვისაც კი გამოუსალმებია.

მაგრამ ახლა, ისევე როგორც ავღანეთში ვერარ თარეშობენ თალიბები, ერაყიც აღარაა ერთიკაცის და მისი ოჯახის ქვეყანა, ასე რომ, სოკ-ი ალბათ უარს არ იტყვის ეოკ-ის მიღებაზე.

„ახლა ძნელი სათქმელია, კონკრეტულად როდის მოხდება ეოკ-ის რეაბილიტაცია. შესაძლოა, ეს მალეც მოხდეს, გააჩნია, რა მიმართულებით წარიმართება ერაყელთა და ჩვენი ურთიერთობა" — ამბობს ჯილბერტ ფელი.

პეკინში ძალიან დაცხება

სოკ-ის აღმასკომი პრაღაში სხვა ოლიმპიურ საკითხებსაც განიხილავს. მაგალითად ოლიმპიურმა მამებმა მოისმინეს ეროვნული სპორტული ფედერაციების წინადადებები პეკინის ოლიმპიური თამაშების რამდენიმე დღით გადატანის თაობაზე და დასტური ბრძანეს.

თავდაპირველად ოლიმპიური თამაშების დაწყება 25 ივნისს იგეგმებოდა, მაგრამ ეროვნული სპორტული ფედერაციები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ამ დროს პეკინში ცხელი და ტენიანი ამინდები იქნებაო. ამიტომაც ახალი გრაფიკის მიხედვით ოლიმპიური თამაშები 8-დან 24 აგვისტომდე ჩატარდება.

ლაზუტინას ნამამაძაღლარი ვერცხლი წაართვეს

ლარისა ლაზუტინა

სოკ-ის აღმასკომი არა მარტო „კეთილ" საქმეებს აგვარებს და ყველას როდი ახარებს. პრაღაში სოკ-მა მკაცრი სახეც გამოაჩინა და რუს მოთხილამურე ლარისა ლაზუტინას სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე მოპოვებული ორივე ვერცხლის მედლის დაბრუნება უბრძანა.

საქმე ისაა, რომ რუს მოთხილამურეთა სიამაყე, ნაგანოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ლარისა ლაზუტინა ჯერ კიდევ სოლტ ლეიკ სიტის დაწყებამდე, იტალიასა და ავსტრიაში გამართულ მსოფლიო თასის ეტაპებზე დოპინგ-ტესტებში ჩაფლავდა. აღმოჩნდა, რომ იგი დარბეპოეტინს მისცემია. ამიტომ ლაზუტინა საერთოდ არ უნდა დაეშვათ ოლიმპიურ თამაშებზე. მიუხედავად ამისა, რაღაც მანქანებით მან მაინც ისპარეზა სოლტ ლეიკ სიტში, სადაც თავისუფალი სტილით 15 კილომეტრზე რბენასა და კომბინირებულ რბოლაში ვერცხლის მედლები მოიპოვა. ამის მერე სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ და სპორტული სასამართლოს არბიტრაჟმაც ლაზუტინას ორწლიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა.

საქმე ამით არ დასრულებულა. ამას მოჰყვა შვეიცარიის ფედერალური სასამართლოც, რომელმაც თავისი წინამორბედების მიერ გამოტანილი ვერდიქტი ძალაში დატოვა. შესაბამისად საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ ლარისა ლაზუტინას ჩამოართვას სოლტლეიკსიტური მედლები და დიპლომები.

ავთანდილ ბჟყვიშელი

ᲣᲘᲛᲑᲚᲓᲝᲜᲘ 2003 ᲡᲐᲡᲠᲘᲖᲝ 17 074 000 $



REUTERS ლონდონიდან

ვინუს და სერენა უილიამსები, რა თქმა უნდა, ნახევარფინალში არიან

ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ!

ᲗᲔᲗᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲐᲕᲓᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲚᲓᲜᲔᲜ-ᲒᲐᲓᲛᲝᲬᲧᲕᲘᲚᲜᲔᲜ

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲡᲔᲠᲔᲜᲐ ᲣᲘᲚᲘᲐᲛᲡᲘ (1, ᲐᲨᲨ) — ᯖᲔᲜᲘᲤᲔᲠ ᲙᲐᲞᲠᲘᲐᲢᲘ (8, ᲐᲨᲨ) 2:6, 6:2, 6:3; ᲙᲘᲛ ᲙᲚᲐᲘᲡᲢᲔᲠᲡᲘ (2, ᲑᲔᲚᲒᲘᲐ) — ᲡᲘᲚᲕᲘᲐ ᲤᲐᲠᲘᲜᲐ ᲔᲚᲘᲐ (27, ᲘᲢᲐᲚᲘᲐ) 5:7, 6:0, 6:1; ᲟᲣᲡᲢᲘᲜ ᲔᲜᲔᲜ-ᲐᲠᲓᲔᲜᲘ (3, ᲑᲔᲚᲒᲘᲐ) — ᲡᲕᲔᲢᲚᲐᲜᲐ ᲙᲣᲖᲜᲔᲪᲝᲕᲐ (33, ᲠᲣᲡᲔᲗᲘ) 6:2, 6:2; ᲕᲘᲜᲣᲡ ᲣᲘᲚᲘᲐᲛᲡᲘ (4, ᲐᲨᲨ) — ᲚᲘᲜᲓᲡᲘ ᲓᲔᲕᲔᲜᲞᲝᲠᲢᲘ (5, ᲐᲨᲨ) 6:2, 2:6, 6:1

უიმბლდონის ბოლო სამი წლის მაყურებელი შავი დევდები ვინუს და სერენა უილიამსები წლეულს კარგა ხანს ელოდნენ მათი კოლოსალური ძალის შემწინააღმდეგებელ მეტოქეებს და მეოთხედფინალში ასეთებიც გამოუჩნდათ.

ორივე შავდას თეთრი თანამემამულე ერგო საამეტაპო მეტოქედ, ორივე გამოცდილი და მათსავით ჯანიანი — ლინდსი დევენპორტი და ჯენიფერ კაპრიატი. ამათ შორის მატჩებში, ყოველ შემთხვევაში, მცირე ეპიზოდებში მაინც გაჩნდა ეჭვი, რომ ლონდონის მწვანეებზე შავდათა ერა ბოლო-ბოლო დასრულდებოდა, მით უმეტეს, ხალხმა სულ ორიოდ კვირის წინ, ლონდონიდან არცთუ ძალიან შორეულ პარიზში იხილა უილიამსების დაცემა. მაგრამ თუ ვინმემ სამეოთხედფინალებო მატჩებში დების ძალმოსილებაში და ჯიმარდობაში ეჭვი შეიტანა, მხოლოდ დროებით, რაკი ამათმა დროულად გამოისწორეს გამრუდებული გზები და ნახევარფინალშიც წყვილად შეაბიჯეს.

ჯენი კაპრიატის პირისპირ დამდგარმა სერენამ ოდნავ დაბნეულად დაიწყო და პირველი სეტიც მისთვის უჩვეულოდ იოლად გადაულოცა თანამემამულეს — 2:6, მაგრამ მერე ჯენიფერს თუ პირში არ უთხრა, გაიფიქრა მაინც, გეყოფა, რაც ინავარდეო და საქმესაც შეუდგა. კაპრიატის უჭირდა უმცროსი უილიამსის ზუსტი ყუმბარების ბადის მეორე მხარეს გადაგდება, შეცდომას შეცდომაზე უშვებდა და მეორე სეტი ისევე იოლად ჩააბარა მეტოქეს, როგორც იმან ამას პირველი. სერენას აღარც დაუთმია უპირატესობა მესამე, გადამწყვეტ სეტში, ასე რომ, ჩემპიონმა ეს ბარიერი გადალახა და ბალახოვანი სლემტურნირის ბოლოსწინა საფეხურზე შედგა — ის ნახევარფინალშია.

სერენას უფროსმა დაიკომ, პირიქით, საკუთარი ძალმოსილების სრული შეგრძნებით დაიწყო დევენპორტთან ჯახი და მერელა წაუცდა ფეხი. დევენპორტმა მას მეორე სეტი აართვა და ანგარიშის გათანაბრების შემდეგ ცუდ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში ჩააგდო. მაგრამ მერყეემა ვინუსმა (სერენასთან შედარებით) გადამწყვეტ ხელში ნერვებიც მოთოკა და ჯიმარდად აჩოგნებული მეტოქეც.

გუშინვე გაირკვა შავდების სანახევარფინალო მეტოქეები, რომლებიც სხვა ვინ უნდა იყვნენ, თუ არა ბელგიელი დობილები — ჟუსტინ ენენ-არდენი და კიმ კლაისტერსი. პირველმა კორტიდან გაისტუმრა უიმბლდონის ბალახს შერჩენილი ბოლო რუსი სვეტლანა კუზნეცოვა და იოლადაც; მეორემ კი პირველი სეტი ბრძოლაში დაუთმო იტალიელ სილვია ფარინა ელიას, მომდევნო ორი ხელი კი უბრძოლველად დაათმობინა.

იშვიათი შემთხვევაა — შავდები და ბელგიელი დობილები, ნახევარფინალში გავიდნენ პირველ ოთხ ნომრად განთესილები, თითქოს ამათ გარდა კორტი არავისი იყოს.

ენენ-არდენი ნახევარფინალში ჩემპიონ სერენას შეუწყვილდება, ვისი ძლევის გემოც სულ ახლახან, საფრანგეთის ღია პირველობაზე დაუჭაშნიკებია და მის დაჩოგნაზე არც ახლა იტყვის უარს. უფროს შავდას კი, ვისაც უიმბლდონი 2000 და 2001 წლებში მიყოლებით გაუჯეგავს, ბუთხუზა კიმ კლაისტერსთან მოუწევს ჩოგნის გადაჯვარედინება. ესეც საინტერესო წყვილია, ასე რომ, ყველაფერ ზემოთქმულს ერთი განცხადება მოვაყოლოთ — ქალთა უიმბლდონი ნახევარფინალებიდან იწყება!

ᲞᲐᲢᲘᲜᲔᲑᲘ

ᲛᲔᲠᲕᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲡᲔᲑᲐᲡᲢᲘᲔᲜ ᲒᲠᲝᲭᲐᲜᲘ (13, ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ) — ᲮᲣᲐᲜ ᲙᲐᲠᲚᲝᲡ ᲤᲔᲠᲔᲠᲝ (3, ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ) 6:2, 4:6, 7:6 (7:2), 7:6 (7:3)

ᲟᲣᲡᲢᲘᲜ ᲔᲜᲔᲜ-ᲐᲠᲓᲔᲜᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ ᲙᲚᲐᲕ ᲡᲔᲠᲔᲜᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲔᲧᲐᲠᲐ

ᲐᲛᲑᲐᲕ-ᲠᲐᲑᲐᲠᲘ

ᲚᲘᲢᲝᲜ, ᲨᲔ ᲛᲐᲛᲘᲧᲝᲡ ᲑᲘᲯᲝ!



ᲐᲓᲠᲔᲕᲔ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲣᲚᲘ ᲰᲘᲣᲘᲢᲘ „ᲝᲚᲓ ᲘᲜᲒᲚᲔᲜᲓ ᲙᲚᲐᲑᲡ“ ᲕᲔᲠ ᲨᲝᲠᲓᲔᲑᲐ

უიმბლდონის შარშანდელი ჩემპიონის ლეიტონ ჰიუიტის კრიტიკოსებს რაღაც ძალიან გაუგრძელდათ წლევანდელ უიმბლდონზე პირველივე წრეში დამარცხებული ავსტრალიელის კიცხვა და უსახელო კარლოვიჩთან მისი წაგების მიზეზთა ძიება.

მიზეზებში, რომლებიც არაერთი იქნა ჩამოთვლილი, თვალსაჩინო ადგილი დაიჭირეს ლეიტონის მშობლებმა, რომლებიც ტურნირიდან ტურნირზე დაჰყვებიან 22 წლის ავსტრალიელს და მის პიროვნულ დამოუკიდებლობას მნიშვნელოვნად ზღუდავენ.

თემა აქტუალური იყო რამდენიმე დღის განმავლობაში. რაც მართალია, მართალია, მოქმედი ჩემპიონის დებიუტშივე დამარცხება პირველხარისხოვანი სენსაციაა და ჟურნალისტებმა თუ საჩოგბურთო წრეებმა ძირფესვიანად მოიჭორავეს ჰიუიტიანთ ოჯახობის შიდა ურთიერთობები, რამაც, ბოლოს და ბოლოს, აღაშფოთა ჰიუიტების ოჯახის უფროსი გლენი, ლეიტონის შემქმნელი.

გლენ ჰიუიტმა შვილის და საოჯახო სიმშვიდის დასაცავად ხმა აიმაღლა — „ვინმემ სცადეთ, გაგეგოთ, რა განიცადა ლეიტონმა ამ მარცხით? თქვენ მხოლოდ ქორდავთ მას და წაბორძიკებასაც არ აცლით. ახლა გამოჩნდა, რეალურად ვინაა მისი მეგობარი და ვინ არა. საბედნიეროდ, მასთან ბოლომდე ბევრი არავინ დარჩა და თქვენი კბენია ბუნებიდან გამომდინარე, ეს მოსალოდნელიც იყო.“

ამასობაში ლეიტონ ჰიუიტი ცდილობს, ლონდონში დარჩეს — იქ ხომ მისი ფუნჩულა სიყვარული კიმ კლაისტერსი ჯერაც აგრძელებს თამაშს — მაგრამ მცქმუტავ ლეიტონს მაინც უჭირს ლონდონში გაუნძრევლად გაჩერება და ამიტომ მან ამ დღეებში დუბლინში ჩასვლა და სპეციალურ ოლიმპიურ თამაშებზე დასწრებაც მოასწრო და გოლფის და კრიკეტის მატჩებზე ყვანჯ-ტაფელიც გაიქნია. აბა, ჩოგნის ქნევა აკი არ აცალეს „საწყალს“.

ᲡᲙᲐᲓᲛᲐᲪ ᲒᲐᲘᲮᲐᲠᲐ

მერვედფინალში ანდრე აგასისთან უმძიმესი ბრძოლის მოგების შემდეგ მარკ ფილიპუსის ბოლოჟამს შემოწოლილი დარდები გადაეყარა და სკადმაც გახსნა გადაბმული წარბები. ზორბა ავსტრალიელი უიმბლდონზე ერთთავად ცუდ ხასიათზე იყო, რაკი მამამისი კიბოს ებრძვის, თანაც ტრავმებით და მათი მომყოლი ოპერაციებით დამაშვრალს რითი უნდა გაეხარა?

მაგრამ ვითარება იცვლება, სკადი უკვე მეოთხედფინალშია და პრესისთვის ორიოდ ოპტიმისტური წინადადებაც გაიმეტა. ბევრიც არაფერი, ფილიპუსისი იმას ამბობს, ჩემი კალიფორნიული სახლით კმაყოფილი ვარო. ის შარშან გადაბარგდა ფლორიდიდან სამხრეთ კალიფორნიაში, სან დიეგოს მახლობლად — „შესაძლოა, ფლორიდა მეტისმეტად უიღბლო ადგილი იყო ჩემთვის. ერთი-ორი ბიჭი გავიცანი და მართალს გეტყვით, იქაურობა უცებ შემიყვარდა. კარგი ჩეინჯი გამომივიდა.“

ᲓᲔᲓᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ ᲔᲫᲔᲑᲡ...



ᲢᲘᲛ ᲰᲔᲜᲛᲐᲜᲘ ᲓᲔᲓᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲚᲐᲕᲐᲪ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲘᲛᲔᲓᲘᲐ

სრულიად დედა ინგლისი, რა ხანია, ელის თავისი ერთადერთი ხეირიანი მეჩოგნის ტიმ ჰენმანის წარმატებას (წარმატებაში უიმბლდონის ჩემპიონობა იგულისხმება). ტიმი ბოლო ოთხი წელია მუდმივადაა ნახევარფინალში, მაგრამ იმის იქით ფეხი ვერ გადაუცდა.

ამის გამო ხალხს, ცოტა არ იყოს, მოსწყინდა მასზე საუბარი, პრესამაც კარგა ხანია ამოხაპა ეს ინფორმაციული წყარო და ახალი კერპის ძიება დაიწყო, მაგრამ სადაა ასეთი?

იქნებ, გერმანელი დიდბიჭი მარკ პოპი გამოდგეს ახალ ნიუსმეიკერად. დედით ინგლისელი პოპი მეორე წელია უიმბლდონის მეოთხედფინალის სტუმარია. ჩვენმა ერთ-ერთმა ინგლისელმა კოლეგამ გერმანელს ისიც ჰკითხა, ჩვენი ქვეყნის დროშით ხომ არ იჩოგნავებდითო. ინგლისელებმა რამდენიმე წლის წინ ხომ კანადელი გრეგ რუზეცკი გადმოიბირეს. რუზეცკი მაინც და მაინც ვერ ამართლებს და, მართალი ითქვას, არც ალექსანდრ პოპი ჩანს ჩოგნის დიდი ოსტატი. ასე რომ, ისე ტიმ ჰენმანი რჩება.

ელვისები მთებში

ელვისის გუნდი, ანუ ელვის პრესლისებურად ჩაცმულ-დახურულ მოცლილთა თავშეყრა ლამის ყველა ამერიკულ ღონისძიებაზეა შესამჩნევი. დასავლეთ ვირჯინიის მთებში გაანთქმული სამთო ველოტური მიმდინარეობს, რომლის სირთულეზეც ათას ამბავს ჰყვებიან — მაგალითად, რბოლა ლამით იწყება ხოლმე და ველოსიპედი ასფალტზე კი არა, სულ მიწაზე დადის. ელვისები კი ერთობიან.

REUTERS სოლეგურ კრეიგიდან

REUTERS ლონდონიდან

მამა და შვილი

ეს ნაცნობი სურათია და ხშირადაცაა ხოლმე ასე: რიჩარდ უილიამსი ფოტოაპარატით ხელში ფუსფუსებს ტერასაზე და ერთ შვილთან ერთად მეორის თამაშს უცქერს. რაც მისტერ უილიამსი ვინუსისა და სერენას დედას განექორწინა, საბუთში ჩაიწერა, რომ ყოფილი ცოლ-ქმარი კორტის ტრიბუნაზე ერთმანეთისგან ოცი მეტრის მოშორებით უნდა დაჯდეს. ვინუსი ნადია პეტროვას ეთამაშება, სერენა უცქერს, რიჩარდი კი ჩვეულად დაფუსფუსებს.

სიხარული პორტ ელიზაბეტში

REUTERS პორტ ელიზაბეტიდან

ეს თახთახა ზულუსი ქალი იმას გაუხარებია, რომ სამხრეთ აფრიკის მორაგბეთა ნაკრებმა თამაში მოიგო. თამაში კი მართლაც ოხერი გამოვიდა პორტ ელიზაბეტში. ბოლოხანს აჭრილმა ქურციკებმა გონგსშემდგომი საჯარიმო დარტყმით გამოგლიჯეს გამარჯვება არგენტინელ პუმებს — 26:25.

REUTERS ვანკუვერიდან

ჩერჩილი ინგლისელებს

ვანკუვერში ინგლისელ მორაგბეთა გამარჯვებით დასრულდა ჩერჩილის თასის გათამაშების ქალთა განყოფილება. მასპინძელი კანადელები ბევრს ეცადნენ და გვარიანადაც ბოჭეს გამოღმელი გოგოები, ისე, როგორც როქუელ ელდრიჯი ბოჭავს ჯენი სატონს ამ ფოტოზე, მაგრამ მაინც წააგეს 18:21.

მაინც

ჰოლანდიურ ასენში მიმდინარე მოტორბოლის დიდი პრიზის გათამაშების საკვალიფიკაციო რბოლებისას ყირა მოუხდა ფრანგ მაიკ დი მელიოს, რომელიც თავისი 125 კუბურსანტიმეტრ ძრავიანი ცხენით დამცავ კედელს შეასკდა. ამის მიუხედავად დი მელიო მაინც მოხვდა მთავარი რბოლის განაცხადში.

REUTERS ასენიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროფეხლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მაჩუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ღარვანი, გიორგი ვამაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge